პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ., № 4. რედაქცია ღიაა
ყოველ დღე გარდა კვირა
უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 1476. მდივნის
№ 19 სსერთო №

№ 231 ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 1921 წ. № 231

8 დეკემბერი
ხუთშაბათი

1917. სახელმწიფო-სათავად-აზნაურო საგლეხო-საადგილმამულო ბანკის გაუქმება.

ბრძოლა გენ. კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებთან ბელგოროდის მახრაში.

დღეს უკანასკნელი დღეა თბილისის საბჭოს არჩევნების.

მუშებო და ჯარის-კაცებო! ყველა საარჩევნო კრებებზე თქვენ გამარჯვება მიანიჭეთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას და დიდი უმრავლესობით, ხშირათ ერთხმათ, ირჩევდით ჩვენი პარტიის კანდიდატებს.

დღესაც ყველა თქვენი ხმა კომუნისტურ პარტიას! აირჩიეთ საბჭოში მხოლოთ კომუნისტური პარტიის კანდიდატები!

გაუმარჯოს თბილისის მუშათა და ჯარის-კაცთა მომავალ წითელ საბჭოს!

თბილისის პროლეტარიატის ნება

თბილისის საბჭოს არჩევნები თავდება. მუშები ყველგან დიდის აღფრთოვანებით ირჩევენ და ნდობას უცხადებენ ჩვენი პარტიის კანდიდატებს. ნამდვილ მუშურ-საბჭოს მესვეურებათ მუშებს მხოლოდ კომუნისტები მიაჩნიათ. ასეთი იქნება დანარჩენ საქართველოს მშრომელთა განაჩენიც.

თბილისის წითელ საბჭოს არჩევნები თავდება. უკვე გამოირკვა თბილისის პროლეტარიატის ნება და მტკიცე გადაწყვეტილება.

თბილისს არ ახსოვს ასეთი თავისუფალი არჩევნები, როგორიც სწარმოებს „მოძალადე“ ბოლშევიკების მმართველობის დროს. თავისუფალი ტრიბუნა ყველა პარტიებისათვის, საარჩევნო ტეხნიკის უკიდურესი გამარტივება, სრული სიტყვის თავისუფლება კრებებზე, აბსოლიუტური გარანტია ხელშეუხებლობის—როდის უნახავს თბილისის პროლეტარიატს ასეთი პირობები მენშევიკების ჟანდარმერიის, მათი განსაკუთრებული რაზმების არსებობის დროს?

მიუხედავათ ასეთი თავისუფლებისა, საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგე პარტიები სასტიკ დამარცხებას განიცდიან, საცოდაობის წუმპეში ეფლობიან. მუშათა საარჩევნო კრებების დარბაზი პირდაპირ ზანზარებს კომუნისტური პარტიის ორატორის, მისი საარჩევნო პლატფორმის და კანდიდატთა სახელ-გვარის გაგონებაზე. სჩანს, მუშათა ფართო მასსის საბოლოო გამორკვევა, მისი გადახრა ერთად-ერთ მუშურ პარტიისაკენ.

პროლეტარიატი ირჩევს თავის საბჭოს, საბჭოს, რომელიც იქნება სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მატარებელი ორგანო, იქნება დასაყრდენი წერტილი მშრომელთა დიქტატურისა. ასეთი საბჭოს მესვეურებათ გამოდგებიან მხოლოდ კომუნისტები, რომელთა მთელი ოთხი წლის ბრძოლა, მუშაობა და ქადაგება იქითკენ არის მიმართული, რომ საბჭოები ნამდვილად გადაიქცნენ მშრომელთა ინტერესების, მათი ნებისყოფის, მათი ბრძოლის და გამარჯვების გამომხატველ ორგანოთ.

ნამდვილ მუშურ საბჭოში მხოლოდ კომუნისტები არიან თავის ადგილზე—ასე განსაჯა სალი ინსტიქტით თბილისის პროლეტარიატმა და კომუნისტებს აგზავნის თავის წარმომადგენლებათ თბილისის საბჭოში.

თბილისის საბჭოში ადგილი არ უნდა ექნეს იმ პარტიებს, რომლებმაც მუშათა საბჭოს იდეაც კი გაამასხარავეს, ცოცხალი სული ამოაცალეს და აშმორებულ მძოვრათ აქციეს მყვლეფელ კლასების გულის მოსაგებათ.

ასეთი შემგინებელნი, ასეთი ჯალათები სრულუფლებიან მუშათა საბჭოების არიან მენშევიკები, ფედერალისტები, ესერები და სხვა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები. და ამიტომაც თბილისის პროლეტარიატმა გადასწყვიტა ისინი არ გააჭაჭანოს თავის წითელ საბჭოში.

ჭირში და ლხინში გამოცდილ კომუნისტებთან ერთად მუშათა მასსა საბჭოში აგზავნის რამდენიმე უპარტიოს, პატიოსან მშრომელს, რომელიც კომუნისტების ხელმძღვანელობით მედგრათ შეებრძოლებიან მუშათა კლასის მტერთ და საბჭოს მუშაობას განაყოფიერებენ.

ასეთია განაჩენი თბილისის პროლეტარიატის. ასეთია თბილისის არჩევნების შედეგი.

უეჭველია, თბილისის პროლეტარიატს მიბაძავს მთელი საქართველოს მშრომელი მასსა და საბჭოთა სამშობლოს მმართვა - გამგებლობას ჩააბარებს მშრომელთა ნამდვილ დამცველ პარტიას.

როგორ პირნათლათ ასრულებდენ მენშევიკები რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას

> **„...წმინდა დავითის მთის ძირას კონტრ-რევოლიუციის მგლებს, დათვებს, მელებს და გველებს ბუნაგი ჰქონდათ მოწყობილი...“**
>
> ი. შაფირი.

საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების დადების უშუალოთ შემდეგ დღეებში მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე, ნ. ჟორდანია, მიმართავდა მოსკოვში, მაშინ კიდევ იქ მყოფ, საზავო მოლაპარაკებისათვის გაგზავნილ, საქართველოს რწმუნებულს, გ. ურატაძეს, და სთხოვდა მას, გადაეცა მოსკოვის მთავრობისათვის მისი კმაყოფილების გრძნობა ჩამოვარდნილი ზავის შესახებ და გამოსთქვამდა რწმენას, რომ ის შესრულებული იქნებოდა ორივე დაინტერესებულ მხარეთა სასარგებლოდ.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ ხელშეკრულების შინაარსის გარჩევას. ჩვენი მიზნისათვის ეს არც არის საჭირო ამ ჟამად. გვსურს მხოლოდ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ერთ მის მომენტზე.

დღიდან საბჭოთა რეჟიმის გამოცხადებისა, რევოლიუციონური რუსეთი შეიქმნა გარშემორტყმული დაუნდობელ მტრების მიერ გარედან; მათ ეხმარებოდა შინაური კონტრ-რევოლიუცია. გმირული ბრძოლით უამრავ ფრონტზე რუსეთის პროლეტარიატმა და მისმა წითელმა არმიამ შორს სტყორცნა გარეშე მტრები და გასრისა შინაური რეაქცია, სადაც კი მოიგდო ხელში მისი ლაშქარი. ამ ლაშქრის თავზარდაცემული უკანასკნელი ნაფლეთები ურიგოდ იხევდნენ პერიფერიებისკენ, „განაპირა ქვეყნებისკენ“, ძალების ხელახლად მოსაკრებად და კვლავ შეტევისათვის მოსამზადებლათ. ეს მათთვის რამოდენიმეთ მოსახერხებელიც ხდებოდა, რადგან ზურგში მათ ყავდათ „დემოკრატიული“, „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები. ცხადია, რევოლიუციონური მთავრობა რუსეთის მუდამ ჟამს ახალი შეტევების მოლოდინში უნდა ყოფილიყო და სამზადისი არ შეეწყვიტა ყოველგვარ შესაძლებლობათა საკადრისათ შეხვედრისათვის. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა ყოველ სამშვიდობო ხელშეკრულებას ამ განაპირა სახელმწიფოებთან: ასეთი ხელშეკრულებით რაიმე გარანტია უნდა მიეღო რევოლიუციონურ მთავრობას, რომ ის ქვეყნები, რომლების საზღვრებს აწვებოდა უკან დახეული შავი ლაშქარი, არ გადაქცეულიყვნენ მისი დაშლილი რიგების დასაყრდნობ ბაზათ, სადაც ფარული თუ აშკარა მუშაობით შესაძლებელი იქნებოდა მათი გამაგრება და კვლავ საომრათ გამზადება ახალი შეტევებისათვის რუსეთის წინაადმდეგ.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებაშიაც იყო სათანადო მუხლი, რომლის თანახმათ ეს მთავრობა იღებდა თავის თავზე ვალდებულებას, რომ ის ხელს არ შეუწყობდა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ რეაქციონურ ძალების მუშაობას, რომ პირიქით მის ტერიტორიაზე გზა გადაეჭრებოდა რუსეთის თეთრგვარდიელების ასეთ მუშაობას. საქართველოს მხრით ეს ვალდებულება შედიოდა იმ ხელშეკრულებაში, რომლის შესახებ კმაყოფილებას გამოსთქვამდა მენშევიკური მთავრობა თავის თავმჯდომარის პირით. მაგრამ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“. საქართველოს მენშევიკები ზავს იმისთვის აწერდნენ ხელს, რომ არ შეესრულებიათ ის. ხელშეკრულების პირობებს იმისთვის ამუშავებდნენ რუსეთთან, რომ მოემზადებიათ ომი მის წინააღმდეგ და თუ ამისთვის მათ „დამოუკიდებლათ“ საკმაო საკუთარი ძალა და ღონე არ შესწევდათ, მაგიერათ შეეძლო დახმარება აღმოეჩინათ ჩვენ ქვეყანაში შემობარგებულ იმპერიალისტური ძალებისათვის, აქ გადმორეკილ რუსეთის შავი ბანდებისათვის. რაი მერე რომ ასეთი მოქმედება აღკვეთილი უნდა ყოფილიყო რუსეთთან ზავის დადების შემდეგ. დადებული ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო ხელშემბორკავი და სავალდებულო მეორე მხარესთვის, ხოლო მათთვის კი ფორმალურათ. რადგან აშკარათ ხელშეკრულების დამარღვეველი მუშაობა უხერხული იყო საქართველოში იწყება არა-ლეგალური მუშაობა ლეგალური მენშევიკური მთავრობის, ის საშუალებას აძლევს თეთრგვარდიელებს ისარგებლონ საქართველოს ტერიტორიით, მაგრამ ფარულათ, რომ რუსეთის მთავრობის ყურამდე ამ მუხანათ ამბავმა არ მიაღწიოს. აი რასა სწერს ერთი (მრავალთა შორის: **მათი სახელი ლეგიონია!**) თეთრგვარდიელი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს: **„გვესმის რა საქართველოს მდგომარეობა, მის მიერ დადებული ხელშეკრულების გამო, მთელი ეს ფართე დიდი მუშაობა წარმოებდა ფარულათ და არც ერთს ჩვენ მოღვაწეთაგანს არ შეუქმნია პრეცენდენტი საქართველოსა და საბჭოთა მისიის შორის დამოკიდებულების გასამწვავებლათ... ჩემი ყოფნით საქართველოში არ შევქმნი არავითარ საბაბს რაიმე უსიამოვნებისათვის საბჭოთა მისიასთან, ვინაიდან ჩემი მუშაობა იწარმოებს კიდევ უფრო ფარულათ.“** ამას სწერს თეთრგვარდიელი ა. პოგოდინი წარსული წლის 12 ნოემბერს,—და ეს რუსეთთან ხელშეკრულების დადების თითქმის შვიდი თვის შემდეგ. საქართველოს მთავრობამ იცოდა, რომ ასეთი მუშაობა სწარმოებდა ჩვენს ტერიტორიაზე, ეს ხდებოდა მისი თანხმობით, ნებართვით, მაგრამ ყურს იყრუებდა გარკვეული მიზნით.

საქართველოს მთავრობა, მისი სამხედრო უწყება ეხმარებოდა კონტრ-რევოლიუციას დენიკინელ ძალების გაგზავნით ყირიმისკენ. საკონცენტაციო ბანაკები ცალიერდებოდნენ, უკეთესათ რომ ვთქვათ მათ აცალიერებდნენ მთავრობის დასტურით. საფრანგეთის მისიის წერილზე ბათუმის საგანგებო კომისრის სახელზე, სადაც ის თხოვდა მას, ხელი არ შეეშალათ რუსეთის ეროვნული საბჭოსათვის ლტოლვილების გაგზავნაში, მენშევიკური არმიის გენერალი მდივანი უთვლის მისიას: **„არასოდეს და არავითარი დაბრკოლება რუსულ ნაციონალურ საბჭოსათვის ლტოლვილების გაგზავნის დროს არ შეგვიქმნია. პირიქით ყოველთვის ფრიად ფართე დახმარებას ვუწევდით, როგორც რუსულ ნაციონალურ საბჭოს, ისე ლტოლვილებს თვით ფულით შემწეობის აღმოჩენამდე და სხვ“.** ასე ასრულებდა ჟორდანიას მთავრობა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას. საქართველო და კერძოთ თბილისი შეიქნა რუსეთის და უცხოეთის შავი რეაქციის ბაზათ, სადაც რუსეთის გაძვალტყავებული და განაწამები მუშებისა და გლეხების მიერ მრავალჯერ დამარცხებული კონტრ-რევოლიუცია ემზადებოდა ამ მუშებზე და გლეხებზე კვლავ თავდასაცემათ და მას **„ფრიად ფართე დახმარებას“** უწევდა საქართველოს მენშევიკური მთავრობა. მას თავისი მოქმედება გადაჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაშიაც და აწყობდა »დემოკრატიულ კოალიციას« ისევ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ამას უძახდენ მენშევიკები »საქართველოს ნეიტრალიტეტს«, ასეთი იყო მათი „მოღვაწეობა“.

საქართველოს მშრომელებმა თავის რუსეთის ამხანაგების და თანამებრძოლების დახმარებით დაანგრიეს ბუდე საქართველოს მენშევიზმისა და უზრუნველჰყვეს რევოლიუციის განვითარება ჩვენშიაც. მომავალი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, სადაც ადგილი არ ექნება არც ერთ მენშევიკს მსოფლიო და რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ამ აგენტებს, გააგრძელებს თებერვალში დაწყებულ საქმეს და რკინის მუხრუჭში მოამწყვდევს ყველა ხალხის მტრებს, მტრებს ერთა სოლიდარობისას.

არჩევნები თბილისის საბჭოში

ტრამვაის მუშები

ტრამვაის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ, რიცხვით 698 კაცმა, ერთხმად ამოირჩიეს შემდეგი დეპუტატები:

1. ვასილ ისრიევი—მუშა, თამბაქოს კომუნალურ მეურნეობის კავშირის გამგეობისა და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის წევრი.
2. ემელიან ჭელიძე—ტრამვაის მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის წევრი.
3. სიმონ დოლიძე—ტრამვაის მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
4. ნიკოლოზ იერემაშვილი—ტრამვაის მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
5. ნესტორ ქებურია—ტრამვაის მუშა, უპარტიო.

კანდიდატად არჩეულია სპირიდონ თედოშვილი—ტრამვაის მუშა, უპარტიო.

მ ე ლ ი თ ო ნ ე ე ბ ი

მელითონეების საერთო კრებამ, (ავტო-სახელოსნო № 1, საბჭოთა მექანიკურ ქარხნების № № 1, 2, 3 მთავარი სახელოსნოები, მექანიკური ქარხანა „გნომი“, სპილენძის ქარხანა, „ბედუნკიძის“ ქარხნის სახელოსნოები, გავნიძის და „ცეკავშირის“ ქარხნები, წულაძის მექანიკური ქარხანა) ერთხმად ამოირჩია:

1. სტალინი-ჯუღაშვილი—საბჭოთა რუსეთის ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარი.
2. ენუქიძე—სრულიად საბჭ. რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.
3. ბენედიქტე კალანდაძე—მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
4. ნიკოლოზ დოგუნო—მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
5. ლევან ლოლობერიძე—საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი.
6. ივანე დათუნოვი—მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
7. კირილე გოდელავაძე—მუშა, საქართველოს კომპარტიის წევრი.

კანდიდატებად არჩეულია: 1) სიმონ კელაშვილი—უპარტიო მუშა, 2 მიხეილ გარინი—მუშა, საქართველოს კომპარტიის წევრი.

ავტო-სახელოსნოების და პარკის მუშები.

ავტო-სახელოსნოების და კავკასიის ცალკე არმიის ავტო-პარკის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ, რიცხვით 103 კაცმა 99 ხმის უმეტესობით აირჩია კომუნისტური პარტიის წევრი, სამხედრო კომისარი ამხ. სერგო პირადოვი.

მ ე წ ა ღ ე ე ბ ი

მეწაღეთა სახელოსნოების მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. საბო ქართველიშვილი—ფაბრიკის მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.

მკერავი ქალები

სამხედრო ნაწილების საკერავ სახელოსნოსთან არსებულ პირველ სახელმწიფო ფაბრიკის მუშა ქალების საერთო კრებამ, რიცხვით 83, რომლებიდანაც ერთმა თავი შეიკავა, აირჩია ამხ. გრიგოლ ბაქრაძე—საკერავ მრეწველობის კავშირის გამგეობისა და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.

ცენტრალურ ფაბრიკის „ნემსის“, შელდეიანის სახელოსნოს, სახალხო სამეურნეო საბჭოს საქსოვ-საკერავი განყოფილების და საქსოვ-საკერავი მრეწველობის პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ აირჩია კომუნისტები: ამხ. ყურულაშვილი და ჯაგამაძე.

რაიონულ მკერავი ქალების კრებებზე აირჩიეს: 2 უპარტიო და ორი კომუნისტი—არაბაჯიანი, ეგიკოვი, ხუჩიევი და წამალაშვილი.

ცენტრალ მუშათა კლუბი და საბჭოთა პირველი სახლი.

ცენტრალურ მუშათა კლუბისა და საქართველოს კომპარტიის საბჭოთა პირველი სახლის მუშებისა და მოსამსახურეების შეერთებულმა კრებამ, 82 კაცის თანადასწრებით აირჩია ამხ. ალექსანდრე ნაზაროვი—საქართველოს კომპარტიის, თბილისის ორგანიზ. წევრი.

ო რ ი ბ ა ნ ა კ ი

თანამედროვე მომენტი პროლეტარული რევოლიუციის ხანაა. მთელი კაცობრიობა ორ ბანაკათაა დარაზმული. ერთია მსოფლიო იმპერიალიზმის ბანაკი. მეორე—კომუნიზმის.

იმპერიალიზმის ბანაკი—ყვლეფის, ჩაგვრის, ძალადობის და დამონავების ბანაკია. ის ყოველი საშუალებით ცდილობს გაამაგროს ციხე-სიმაგრე ჯოჯოხეთური ტირანიისა, რომელსაც სრულიათ წალეკას უქადის აზბოქრებული ტალღები პროლეტარული რევოლიუციისა. იმპერიალიზმის ბანაკი ლამობს ისტორიული ბორბლის უკან შემოტრიალებას და სამუდამოთ, სამარადისოთ გამტკიცებას პარაზიტული შვება-განცხრომა—გარყვნილების ბინძური რეჟიმისას.

იმპერიალიზმის ბანაკის იარაღია ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთავრობები, ეს „აღმასრულებელი კომიტეტები“ მყვლეფელების და დამჩაგვრელების ხელში. ამ ბანაკის სრულ განკარგულებაშია კაპიტალისტური სახელმწიფოების რთული, ძლიერი და მრავალფეროვანი ჩაგვრის აპარატი: სამხედრო ძალა, პოლიცია, ჟანდარმერია, შპიონაჟი, ბიუროკრატია, სასამართლოები, ციხე-საპყრობილეები, სამღვდელოება, შკოლა, მეცნიერები, ყოველდღიური პრესა, დიპლომატია. და სხ. და სხ. ამ უზარმაზარ აპარატს, რომელიც იმორჩილებს ათეულ და ასეულ მილიონ მშრომელებს თითქმის მთელ ქვეყანაზე, განაგებს ერთი მუჭა ტირანებისა.

იმპერიალიზმის ბანაკს შეგნებულათ და ინსტიქტიურათ მხარს უჭერს და თანაუგრძნობს ბურჟუაზიულ-ექსპლოატატორული კლასები, ყველა ის, ვინც სოციალურათ დაინტერესებულია კერძო საკუთრების და მაზე დამყარებულ ჩაგვრა—ყვლეფის შენახვა-გამტკიცებაში.

ძლიერია კაპიტალიზმის ბანაკი. იგი კბილებამდე შეიარაღებულია ყოველმხრივათ: კლასიური შეგნებით, პოლიტიკური ძალა-უფლებით, ეკონომიურათ, ფიზიკურ—მატერიალურათ, ფინანსიურათ, ტეხნიკურათ, ტრადიციით, გამოცდილებით, გამობრძმედილი, გამოქნილი დიპლომატიით.

მარა ეს, ასე ვთქვათ, საკუთარი, კლასიური ძლიერება ამ ბანაკს ვერ იხსნიდა სრულ განადგურებისაგან, მას უფრო ადრე დაამხობდა პროლეტარული რევოლიუცია, რომ ზურგს არ უმაგრებდეს და ჯერჯერობით უძლეველს არ ქმნიდეს მეორე ინტერნაციონალი.. იგი, მეორე ინტერნაც. ძლიერი ბურჯი და საძირკველია იმპერიალიზმის.

მეორე ინტერნაციონალის მეთაურებს შეადგენენ, როგორც ინტელიგენტები, გამოსული ბურჟუაზიული წრეებიდან, ისე „მუშები“, რომლებიც იკვებებიან იმპერიალისტური ნასუფრალით. ეს ნასუფრი სულ მცირე ნაწილია იმ გიგანტიური „ზედმეტი ღირებულების“, რომელიც აფცქვნილია, როგორც შინაური, მეტროპოლიის, ისე გარეული, კოლონიების მონების ზურგიდან. მსოფლიო იმპერიალიზმი თავის საზღაპრო მოგების მინიმუმს სამოწყალოთ უგდებს ყველაზე უფრო ჩამორჩენილ (კლასიური შეგნების მხრით, და კლასიურათ გარყვნილ ნაწილს მუშებისას, ე. წ. „მუშათა არისტოკრატიას“ და მის „დამსახურებულ“ ბელადებს, რომლებიც სული და გული არიან მეორე ინტერნაციონალის.

იმპერიალიზმი, როგორც გამოცდილი სტრატეგი, ცდილობს დეზორგანიზაცია და დემორალიზაცია შეიტანოს მუშათა კლასში მისი „ცნობილი“ ბელადების მოსყიდვით და მით შეასუსტოს იერიშები პროლეტარული რევოლიუციისა. იმპერიალიზმი ამაგრებს და ახანგრძლივებს ყვლეფის რეჟიმს თვით გაყვლეფილთა ხარჯზე და დახმარებით. იმპერიალიზმს მხარს უჭერს მუშათა კლასის ერთი ნაწილი ამავე მუშათა კლასის წინააღმდეგ. მეორე ინტერნაციონალი იარაღია მსოფლიო იმპერიალიზმის ხელში, მიმართული კომუნიზმის წინააღმდეგ. იმპერიალიზმი აკეთებს თავის შავბნელ საქმეს მუშათა კლასის წინააღმდეგ—მუშებისავე ხელით. მეორე ინტერნაციონალი აქტიურათ ემსახურება იმპერიალისტურ კონტრ-რევოლიუციას.

მარა ეს კიდევ ცოტაა. იმპერიალიზმს ყავს კიდევ ერთი დამხმარე, ეს არის ე. წ. ორნახევარი ინტერნაციონალი, რომელიც მთელი თავისი პოლიტიკური საქციელით, სიტყვით და პრესით, პროპაგანდა-აგიტაციით აშკარათ ილაშქრებს კომუნისტური რევოლიუციის წინააღმდეგ, ადუნებს პროლეტარიატის რევოლიუციურ ენერგიას, უნერგავს მას წმინდა წყლის ოპორტიუნიზმს, ე. ი. რყევის, „თანთადანობის“, უკან დახევის, შიშის, ლაჩრობის ტაქტიკას, სწამლავს მას ილიუზიით უსისხლო, მშვიდობიანი, „უეჭველი“ სოციალისტური გარდაქმნის შესახებ, აშინებს მას მოსკოვის „დიქტატორების“ აჩრდილით, 2 ნახ. ინტერნაციონალი საქმით ემსახურება იმპერიალისტურ ბანაკს, ხელს უშლის პროლეტარულ რევოლიუციას, ამაგრებს ანტი-კომუნისტურ ბლოკს.

მეორე ბანაკი—**კომუნიზმის ბანაკია**, რომლის მიზანია კაპიტალიზმის დამხობა და კომუნიზმის დამყარება. კომუნიზმი ნიშნავს ყოველგვარ ყვლეფა-ჩაგვრის, ძალადობის, უსამართლობის სრულიათ მოსპობას და ნამდვილი თავისუფლების, ძმობის, თანასწორობის და სამართლიანობის დამყარებას—კომუნიზმის ბანაკი პროლეტარიატის კლასიური ბანაკია. ამ ბანაკის

უმთავრეს ბურჯს და საფუძველს შეადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის ყველაზე უფრო მოწინავე და რევოლიუციური ნაწილი, მისი ავანგარდი—**მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი**. მის მეორე ბურჯს და დასაყრდნობ ძალას—**წითელი პროფინტერნი** წარმოადგენს. კომუნიზმის ბანაკს ამაგრებს ღარიბი და გაყვლეფილი გლეხობის ყველაზე უფრო მოწინავე ნაწილი, რომელიც დღეს აშკარათ ხედავს, რომ მისი საუკეთესო მოკავშირე და მეგობარი—კომუნისტური პროლეტარიატია. კომუნიზმის წითელი დროშის გარშემო თავს იყრის ყველა მშრომელი და დაჩაგრული, რომელიც ოდნავ მაინც არის გარკვეული დღევანდელ გთალმასებულ სამოქალაქო ომში, გააფთრებულ კლასთა ჭიდილში ორ გრანდიოზულ ბანაკთა შორის. კომუნიზმის ბანაკს თანაუგრძნობენ და სასოებით შეჰყურებენ ყველა მაშვრალნი, და დამონებული ერები, რომელნიც ოდნავ მაინც გრძნობენ და ხედავენ იმპერიალისტური ომის და „ზავის“ განუზომელ, უსაზღვრო საშინელებას. ყველაფერი, რაც კი სპეტაკია, პატიოსანი და რევოლიუციონური მათ შორის თავს იყრის კომუნიზმის დროშის ქვეშ.

ასეთია ორი დიდი ბანაკი თანამედროვე სინამდვილეში. მესამე ბანაკი დღეს არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ვინც ერთში არ შედის, მეორეს ეკუთვნის, და პირიქით. თვითეულ ბანაკს შეუძლია თქვას სრულიათ სამართლიანათ: **ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია**, მოწინააღმდეგე. ვინც დღეს ფიქრობს „ნეიტრალობას“ მომრიგებლობა-მოსაშვალეობას, „ოქროს შუაგულის“ დაჭერას, „ცენტროვიკობას“ ის ატყუილებს თავს, ატყუილებს სხვებს და სინამდვილეში ამაგრებს ერთ ბანაკს მეორეს წინააღმდეგ. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის სამკვდრო-სასიცოცხლოა, ე. ი. არც ერთი ბანაკი არ დაჰყრის იარაღს, სანამ სრულიათ არ გაიმარჯვებს და ან სასტიკათ არ დამარცხდება. ორივე ბანაკი დგას ყოფნა-არყოფნის კითხვის წინაშე. ერთის დამხობა, დასამარება ნიშნავს მეორეს გამარჯვებას, აყვავებას და ზეიმს.

პირველ ბანაკს ხელმძღვანელობენ: ლოიდ ჯორჯი, ბრიანი, გარდინგი და მათი ნოქარები—მთელი ქვეყნის მენშევიკები. მეორე ბანაკის მეთაურია მოსკოვის კომინტერნი. პირველი ბანაკის სამშობლოა—ბურჟუაზიული საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა. იაპონია. მეორე ბანაკის სამშობლო—წითელი რუსეთის საბჭოთა ფედერაციაა.

ქართული მენშევიზმი—ნაწილია მსოფლიო მენშევიზმის, მეორე ინტერნაციონალის, ე. ი. პირმშო შვილია იმპერიალისტური კონტრ-რევოლიუციის. საქართველოს კომპარტია—ნაწილია რუსეთის კომპარტიის, რომელიც ბელადია მესამე ინტერნაციონალის.

დღეს თბილისის პროლეტარიატის წინაშე დგას კითხვა: **იმპერიალიზმი თუ კომუნიზმი?** საარჩევნო კომპანიის პირველი ნაბიჯები უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ იგი მესამე ინტერნაციონალის მხარეზეა, მაშასადამე—აირჩევს კომუნისტურ საბჭოს.

თ. კალანდაძე.

ისევ შტატების შემცირების შესახებ

სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა, თავიდან ჩამოცილება ზედმეტი და არა საჭირო ბარგისა ერთ-ერთი საშუალება არის სახელმწიფო წარმოებაში დარჩენილ მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველსაყოფათ. რიცხვი მოსამსახურეებისა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულებებში ითვლებიან, დაახლოვებით ოცჯერ მეტია ვიდრე რუსეთში (მხედველობაშია რუსეთის დაწესებულებების „გაბერილი“ შტატები) საერთო მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით. მათი შენახვა დღეს, როდესაც სახელმწიფო განიცდის სასურსათო და ეკონომიურ კრიზის და მას არავერი დარჩენია, გარდა დანგრეული მეურნეობისა შეუძლებელია.

საჭიროა დატოვება მხოლოდ აუცილებელი რიცხვის და მათი სრული უზრუნველყოფით შესაძლებელი იქნება შრომის ნაყოფიერების გაზრდა.

ამ საკითხის საჩქაროთ ცხოვრებაში გატარების მნიშვნელობა ცხადი იყო ყველასათვის, რისთვისაც დაარსდა ეგრედ წოდებული ცენტრალური საშტატო კომისია. ის მუშაობს აგერ თითქმის თვენახევარი და უნდა ითქვას დასახულ მიზანს ის ვერ აღწევს და არც არის ამის იმედი. ჩატარებული მუშაობით ვაღწევთ შტატების შემცირებას საშუალოდ 27 პროც., ეს ციფრი კი ძლიერ მცირეა თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი დაწესებულებების შტატების სიდიდეს.

მიზეზი ასეთი მცირე შემოკლებისა არ არის საშტატო კომიისიის მუშაობაში. უმთავრეს დაბრკოლებას ვხვდებით დაწესებულებათა მეთაურების არა თუ გულგრილობაში, არამედ პირდაპირი წინააღმდეგობაში, რომელსაც ისინი გვიწევდენ შტატების შემცირების ჩატარებაში. ყველა (გამონაკლისი ძლიერ მცირეა) ცდილობს ხელუხლებლად დატოვოს თავის უწყება, ან-და მოახდინოს უმნიშვნელო შემცირება, დაწესებულებების განმარტივებაზე ლაპარაკი ამ პირობებში ზედმეტია. მათ დაუხმარებლად გამორკვევა დაწესებულებების ამა თუ იმ განყოფილებათა ან თანამდებობათა დატოვების მიზანშეწონილობის და საჭიროების ძლიერ ძნელია და შეუძლებელიც. დაწესებულებათა გამომკვლევ კომისიას სჭირდება ფრიად დეტალური გაცნობა დაწესებულების მუშაობისა. ამისათვის საჭიროა არა საათები და დღეები არამედ თვეებიც, შემოსულ-გასულ ქაღალდების რიცხვის უბრალო გაცნობით კი მიზანს ვერ მივაღწევთ, ვინაიდან ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შტატების შემცირების საკითხს სწორად მიუდგა ეგრედ წოდებული საფონდო კომისია, რომელმაც ყოველივე მოსაზრება დაამყარა იმაზე თუ რამდენი შეუძლია სახელმწიფოს არჩინოს და აქედან განსაზღვრა მინიმალური რიცხვი საჭირო მოსამსახურეებისა საბჭოთა ორგანოების მუშაობისათვის. ეს რიცხვი არც ისეთი შესაშინებელია როგორც ზოგიერთს ჰგონია. დაწესებულებებს სრულიად უმტკივნეულოთ შეუძლიათ სტრუქტურის განმარტოვებით შეამოკლონ თანამშრომელთა რიცხვი საფონდო კომისიის ნორმების ფარგლებში.

ეს უფრო ადვილი იქნება და უფრო მოკლე დროს მოითხოვს ვიდრე საშტატო კომისიის მუშაობა, ვინიიდან თვით დაწესებულებამ უკეთ იცის რა არის იქ ზედმეტი და რის უმტკივნელოთ მოშორება შეიძლება. ამას კი მაშინ იზამენ, როცა მათ წინდაწინ განსაზღვრულ ფარგლებში ჩააყენებენ და უნდა ითქვას სამწუხაროთ) აიძულებენ. სხვანაირათ არაფერი არ გაკეთდება.

ს. გოდაბრელიძე.

ფედერაციისთვის

თბილისი.

თაბაქოს ფაბრიკების „მირის“, „კავკავის“, „სალვეს“ მუშებისა და რაიონის მუშა-გლეხთა მილიციის თანამშრომლების (200 კაცი) საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შესახებ, ესალმება და სთვლის მას პოლიტიკურათ მიზანშეწონილათ, დროულად და ეკონომიურათ უაღრესად საჭიროთ. მუშა კაცები და ქალები აცხადებენ, რომ ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების გაერთიანება გამოსჭედავს იმ ძლიერ პროლეტარულ ძალას, რომელიც რუსეთის პროლეტარიატის ძმურ კავშირში დაიცავს თვითარსებობას და გაიმარჯვებს გარეშე პოლიტიკურ და შინაურ სამეურნეო ფრონტებზე.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს და საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს ძმურ კავშირს რუსეთის პროლეტარიატთან!

გაუმარჯოს პროლეტარიატის მსოფლიო კავშირს!

ძირს მსოფლიო ბურჟუაზია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

თელავი.

ქ. თელავის პროფესიონალურ კავშირების გაფართოებული პლენუმის სხდომის რეზოლიუცია.

ქ. თელავის პროფესიონალურ კავშირების გაფართოებულმა პლენუმის სხდომამ მოისმინა ამხ. ამირაგოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ესალმება რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს დადგენილებას და აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების ძმურ კავშირს და ყველა ძალების კოორდინაციას შეუძლია სათანადოთ დაიცვას სოციალისტურ რევოლიუციის მონაპოვარი ყველა ქვეყნების და ყოველი სახის კონტრ-რევოლიუციონური ბანდების თავდასხმისაგან, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირის დაუყოვნებელი განხორციელება არა თუ მოსპობს საბოლოოდ შოვინისტურ გავლენას, არამედ შეუმსუბუქებს პროლეტარიატს სამეურნეო ფრონტზე ბრძოლას და აღადგენს ყველა ამ რესპუბლიკების ეკონომიურ ძლიერებას. გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ყველა შრომელთა მასების მჭიდრო შეკავშირებას მტკიცე პროლეტარულ ალიანსში!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს მუშებისა და ღარიბ გლეხების ინტერესების ერთგულ დამცველს კომუნისტურ პარტიას! წინ, სოლიდარობისაკენ! წინ, გაერთიანებისაკენ!

სიღნაღი.

„საქართველოს კომპარტიის სიღნაღის ორგანიზაციებისა და კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის შეერთებულმა კრებამ მოისმინა ამხ. ამირაგოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, მხურვალედ ესალმება რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს დადგენილებას და აღნიშნავს:

1) რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია ერთი გამოხატულებათაგანია კლასიურ პროლეტარული სალიდარობის, რომელიც ასე საჭიროა რევოლიციონურ პროლეტარიატის ბრძოლის დროს როგორც აღმშენებლობითი მუშაობაში, ისე გარეშე ფრონტზე ინტერ-ნაციონალურ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. 2) ფედერაცია, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატის ეკონომიური და სამხედრო ძალების კოორდინაცია საფლავია მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელებისაგან დატოვებულ მემკვიდრეობისათვის, რომელიც გამოიხატება ეკონომიურ დანგრევასა და შოვინიზმში.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს ხალხის გამარჯვებისაკენ წინამძღვარს კომუნისტურ პარტიას!

ძირს რევოლიუციის მტრებო და გამყიდველებო, პროლეტარულ ძალების გაერთიანება თქვენი სამარეა“!

გუმბრი.

კავბიუროს სახელზე გუმბრიდან მოვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სომხეთის კომუნისტურ პარტიის გუმბრის ორგანიზაციის საერთო კრებას, საკავშირო ხელშეკრულების პროექტის წაკითხვის შემდეგ, მსჯელობა ჰქონდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ. კრება გამოსთქვამს თვის დიდ სიხარულს ძმურ რესპუბლიკათა მომავალ გაერთიანების გამო. ორგანიზაცია ამ ფედერაციას [illegible] პირველ ეტაპს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა მასების შესაერთებლად, ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალთა ასაყვავებლად და მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელების რეჟიმისაგან დატოვებულ წყეულ მემკვიდრეობის ერთხელ და სამუდამოდ მოსასპობათ.

კომიტეტის მდივანი **გულაკოვი.**

ტყიბული

ტყიბულის იაჩეიკების წევრთა შეკრებულ საზოგადო კრებაზე ა | წ. 2 დეკემბერს მოვისმინეთ, რა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ სწორად და მიზან-შეწონილათ თვლით ამ გადაწყვეტილებას რადგანაც მხოლოთ ასეთი მჭიდრო კავშირით შესძლებს მშრომელი ხალხი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აყვავებას და თავის მტრებზე საბოლოვოთ გამარჯვებას. საჭიროდ ვთვლით გავაძლიეროთ ამ საკითხის გარშემო აგიტაცია, როგორც პარტიულ, ისე ფართო უპარტიო მასაში.

კრების თავმჯდომარე: **პოლ. ტყაბლაძე.**

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი

აღმოსავლეთის საკითხი

პარიზი, 6 დეკემბერი. რადიო. გაზეთი „ტანი“ სპეციალურ წერილს უძღვნის აღმოსავლეთის საკითხს. იგი სხვათა შორის სწერს: ზოგიერთი“, გაზეთები, და მათ რიცხვში »დეილ ტელეგრაფი«, ამტყუნებს საფრანგეთს ოსმალეთისადმი. განსაკუთრებულ სიმპატიურ განწყობილებაში. ამნაირი ბრალდება, აღნიშნავს »ტანი«, სიმართლესაა მოკლებული, რადგანაც ინგლისის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწეებიც იზიარებს საფრანგეთის პოზიციას აღმოსავლეთის საკითხში. შემდეგ »ტანი« იტყობინება, რომ ინდოეთის მეფის მოადგილის ლორდ რიდინგის რეზიდენციაში—ეიდლში ესტუმრა ინდოელ მუსულმანთა დელეგაცია; მან განუცხადა ის აუტანელი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში, სტამბოლში ევროპის კონტროლის დაწესებისა, ბერძნებისგან სმირნისა და ფრაკიის ოკუპაციისა და მექასა და მედინაზე ოსმალეთის სუვერენულ უფლებათა დაკარგვის შემდეგ. ლორდი რიდინგი იძულებული იყო ეპასუხნა დელეგაციისათვის, რომ მათი განცხადება ეცნობება ბრიტანეთის მთავრობას და თავის მხრივ მხარს დაუჭერს ამ მოთხოვნილებას. ლორდ რიდინგმა აგრეთვე მიუთითა ლოიდ ჯორჯზე, რომელმაც განაცხადა სტამბოლის ოკუპაციის გაუქმების შესახებ. მან მხოლოდ შენიშნა სრუტეების საკითხის შესახებ. მოჰყავს რა ეს ფაქტი „ტანი“ აღნიშნავს, რომ ეს გარემოება ადასტურებს ინდოეთის მეფის მოადგილის სიბრძნეს, ამასთანავე აღნიშნავს რომ ბრიტანიის მთავრობა საჭიროდ იცნობს ანგარიში გაუწიოს მუსულმანების ინტერესებს და თუ ამას ჯერ არ აღიარებს ოფიციალურად მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უცდის მოხერხებულ დროს.

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. (რადიო). ლონდონიდან მოსულ ცნობით იაპონიის დელეგაციას განუცხადებია კონფერენციაზე, რომ იაპონიას არ შეუძლია ჯარის გაყვანა ჩინეთიდან განსაკუთრებით კი მანჯურიიდან. რაც შეეხება აღმოსავლეთ—ჩინეთის რკინის გზის ხაზზე მდგომ იაპონიის ჯარებს ისინი იქიდან დაუყოვნებლივ იქნებიან გაყვანილნი ციმბირიდან ჯარების გაყვანის შემდეგ.

ვაშინგტონის ცნობით, შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა კომისიის სხდომაზე ჩინეთმა ახალ გამარჯვებას მიაღწია, და მიიღო თანხმობა საფრანგეთისა იაპონიისა და ინგლისისაგან ჩინეთის ტერიტორიის ზოგიერთ პუნქტების გაწმენდის შესახებ: საფრანგეთი კვანტუნგის ევაკუაციას ახდენს, ინგლისი—ვეი-ხაისა, იაპონია—მანჯურიაში დაკავებულ ქალაქებისას, ზოგიერთ პირობათა შესრულებით ჩინეთის მთავრობის მხრივ.

ინგლის-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმება.

მოსკოვი. 7 დეკემ. (რადიო). „დეილ მეილი“ ავტორიტეტულ წყაროე-

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სასურსათო სახალხო კომისარიატის ამოცანები

საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლების დამყარებით კვლავ განახლდა ის გზა, რომლითაც ის შეერთებული იყო თავის მეზობელ რუსეთთან რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში. ის მომენტი როდესაც საქართველო გამოეყო რუსეთს იყო მომენტი სერიოზულ ეკონომიურ შერყევათა. საქართველოს მუდამ მტკიცე ეკონომიური კავშირი ჰქონდა რუსეთთან, ის დაკავშირებული იყო რუსეთის მრეწველობასთან, ფინანსებთან და, უკანასკნელად, მის სასურსათო რესურსებთანაც, ვინაიდგან რუსეთიდან შემოჰქონდა პური, რომელიც ფარავდა მისი მოსავალის დანაკლის. იმ დროს როდესაც ეს კავშირი შეწყდა საქართველოს წინაშე დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ აღდგენილიყო ეს კავშირი. ამ ამოცანის გადაჭრა თითქმის შეუძლებელი იყო. მსოფლიო ეკონომიურ კრიზისის პირობებში და პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასების აწევის გამო, საქართველოს, რომელსაც არ ქონდა საკუთარი საფინანსო სისტემა, არ ქონდა ძვირფას ლითონის—ოქრო და ვერცხლის მადნები, ცხადია, არ შეეძლო შეექმნა როგორც საკუთარი მრეწველობა ისე საკვები პროდუქტების წარმოება.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საქართველოში მენშევიკურ მთავრობას განზრახული ქონდა შეექმნა ბურჟუაზიული სახელმწიფო. კაპიტალისტებს მინიჭებული ქონდათ ყოველ გვარი უფლება და შესაძლებლობა რათა ინიციატივა გამოეჩინათ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების საქმეში. იმ დროს როდესაც რუსეთის პროლეტარიატი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, საქართველო ჩამოშორდა როგორც რუსეთის ისე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს.

საქართველოს მშრომელთ სოციალისტურ გზაზე გამოიყვანს არა საბჭოთა ძალა-უფლება და პროლეტარული სახელმწიფო, არამედ ბურჟუაზიული ხელისუფლება და ბურჟუაზიული სახელმწიფო; საბჭოთა ხელისუფლება დამღუპველია მუშათა კლასისათვის, ვინაიდან მას არ ძალუძს მოაწესრიგოს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაო, აი როგორი იყო იმათი მოტივები, რომლებიც ანვითარებდენ რუსეთთან კავშირის გაწყვეტის იდეას, იმ მიზნით, რომ საქართველოში შეექმნათ „საკუთარი“ სახელმწიფო.

ოქტომბრის რევოლიუციამ დააფრთხო ქართველი სოციალ-შეთანხმებლები და გადისროლა ბურჟუაზიის ბანაკში, რომელიც აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს „დამოუკიდებელ“ მთავრობის ცდამ, დამოუკიდებელ სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში ყველას დაუმტკიცა მავნებლობა იმ ხაზისა, რომელიც აღებული ქონდა მენშევიკებს. იმათ მხედველობაში არ მიიღეს ის, რომ საქართველოში ეკონომიურად გაბატონებულთა შორის არც ერთი არ იყო დაინტერესებული ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში. ფული ყოველდღიურად კარგავდა ღირებულებას. წარმოება აღარ იძლეოდა იმ მოგებას, რომელსაც იძლეოდა უბრალო სპეკულიაცია. და ისედაც შეზღუდული საქართველოს ბაზარი აივსო მხოლოდ ჩარჩებითა და მევახშეებით. ბურჟუაზიას აღარ აინტერესებდა საწარმოო ძალთა განვითარება. ეს გარემოება ანგარიშში არ იყო მიღებული იმათგან, რომლებსაც ეშინოდა მუშების ხელში ძალა-უფლების გადასვლისა.

ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად საქართველოში შეიქმნა სპეკულიატიური სახელმწიფო, რომელიც ეკონომიურად სავსებით დაუმორჩილდა ანტანტის ზრახვებს.

ანტანტის სახელმწიფოებთან ეკონომიურ კავშირის დაჭერას არ შეეძლო მოეტანა საქაროველოსათვის რაიმე ეკონომიური სიკეთე, ვინაიდან პოლიტიკა ანტანტისა საქართველოს მიმართ, იყო წმინდა კოლონიალური. ეს პოლიტიკა გამოიხატებოდა იმაში, რომ საქართველოს საკუთარ რესურსებს ხელიდან აცლიდნენ და მის ბაზარს ავსებდნენ ისეთ დაბალ ხარისხოვან საქონლით, რომელიც გასავალს ვერ ჰპოებდა ევროპის სახელმწიფოში. საჭმელი პროდუქტებიც ისეთი იგზავნებოდა საქართველოში, რომელიც ცუდი ხარისხის იყო, არ იხმარებოდნენ ადგილობრივად, მაგრამ რომლებიც ძალაუნებურად უნდა გაესაღებინათ. ყოველგვარი ცდა, საქართველო გადაქცეულიყო ისეთ სახელმწიფოთ, რომელსაც თვით ექნებოდა ყველაფერი საძყოფი, უნაყოფოდ რჩებოდა.

ასეთი იყო მდგომარეობა გადატრიალებამდე. საბჭოთა ძალა-უფლების დამყარებამ უცბად შესცვალა მთელი ეს პირობები. შესაძლებელი შეიქმნა რუსეთთან მტკიცე ეკონომიური ერთობა. ამ ერთობამ გზა გაუხსნა მას სასურსათო საქმეშიც. მაშინვე რამოდენიმედ გადაიჭრა საკითხი სასურსათო დანაკლისის შევსებისა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში, როდესაც კიდევ მოუწყობელი იყო სასურსათო აპარატი, რუსეთმა საგრძნობი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს სურსათით.

1921 წლის პირველი მარტიდან 1 ოქტომბრამდე რუსეთიდან საქართველოში შემოტანილ იქმნა—233656 ფუთი 35 გირ. პურის პროდუქტები; 15 ვაგონი შაქარი, 600 ვაგონი მარილი, 720000 არშინი ფართლეულობა, 6000 წყვილი ფეხსაცმელი და სხვა. ეს დახმარება საშუალებას გვაძლევს უფრო დამშვიდებით ვაწარმოოთ სასურსათო მუშაობა. უკანასკნელ ხანებში გარკვეულად აღინიშნენ ამ მუშაობის ის საფუძვლები, რომლებიც ნაკარნახევია საქართველოს მდგომარეობით და ეგრეთ წოდებულ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებით. ამ პოლიტიკას არავითარი საერთო არა აქვს კერძო კაპიტალისტურ რეჟიმის წახალისების წმინდა წყლის პოლიტიკასთან. ეს პოლიტიკა უთმობს რა ადგილს კაპიტალს და იღებს რა მხედველობაში მის დადებით მხარეებს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, ის ანხორციელებს ყველგან პრინციპს სახელმწიფოებრივ კონტროლისას და საწარმოო იარაღთა განსაზოგადოებრივობისას იმ ფარგლებში, რომელსაც მოითხოვს მრეწველობის ინტერესები.

ახალ ეკონომიური პოლიტიკას შემოაქვს საბჭოთა ძალა-უფლების ძველ პოლიტიკასთან შედარებით, ახალი საფუძვლები სახელმწიფოებრივ მეურნეობის ორგანოების სამოქმედოთ სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპების სახით. სამეურნეო ანგარიშიანობა მოითხოვს, რომ მტკიცეთ იყვეს აღნუსხული საწარმოო და ფინანსიურ—კომერციული მოქმედება ყოველ წარმოებისა ან სამეურნეო ორგანოსი. ეს უკანასკნელნი ბრმად არ მოქმედობენ, არამედ ხელმძღვანელობენ იმ ანგარიშით თუ მეურნეობის რომელ მხარეს ემსახურებიან ისინი და რა სარგებლობა მოაქვთ სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით.

ამ პრინციპებთან შეფარდებით გამომუშავდა სასურსათო კომისარიატის პოლიტიკა.

მისი უმთავრესი დანიშნულებაა—შეასრულოს სახელმწიფო მოვალეობა სურსათის და ფართე მოთხოვნილების საგნების მომარაგების საქმეში.

ეს მოვალეობა აწვება სახელმწიფოს სამი ძირითადი ჯგუფების მიმართ და სამგვარ მოსაზრებათა მიხედვით.

მძიმე სასურსათო და არა მტკიცე ფინანსიური მდგომარეობა გვაიძულებს სამუშაო ხელფასის ნატურით გადახდას.

სახელმწიფო ასეთ შემთხვევაში გამოდის, როგორც მწარმოებელი, რომელიც იძლევა სამუშაო ხელფასს ნატურით. სასურსათო რესურსების რაოდენობის მიხედვით სახელმწიფო ამოკლებს ან ადიდებს იმ ჯგუფთა რაოდენობას, რომელსაც ასეთი გზით ამარაგებს.

ასეთ მომენტებში სახელმწიფო, სასურსათო კომისარიატის სახით, მოამარაგებს მხოლოდ იმ ჯგუფებს, რომლებიც აბსოლიუტურად საჭირონი არიან მისთვის სახელმწიფო წარმოებებში.

ეს ის დარგებია, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობისათვის, რომლებსაც საერთო სახელმწიფოებრივ მეურნეობის მნიშვნელობა აქვთ. უკანასკნელად ეს ის ჯგუფებია, რომელთა დანიშნულება სრულიადაც არ არის კერძო მომხმარებელთა სამსახური ფულის საფუძველზე.

მეორე ჯგუფი უახლოვდება პირველს იმ მოსაზრებებით, რომლებიც იწვევენ მათ მომარაგებას. ეს ჯგუფები პირდაპირ წარმოებაში არ მუშაობენ, მაგრამ ემსახურებიან სახელმწიფოს მის საადმინისტრაციო და სამოსამართლო მოღვაწეობაში, თავდაცვის საქმეში და ყველა იმ დარგებში, სადაც კონკრეტიულ ფორმებში ხორციელდება სახელმწიფოს უმაღლესი ძალა-უფლება. ეს ჯგუფიც აგრეთვე შეზღუდულია იმის მიხედვით, რამდენადაც იგი აბსოლიუტურად საჭირო არის და რამდენადაც მნიშვნელოვანია მისი მუშაობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის, და ბოლოს მესამე ჯგუფი შეიცავს იმ ელემენტებს, რომლის მომარაგება სახელმწიფომ უნდა იკისროს იმ მოსაზრებით, რომ შეასრულოს თვისი განსაზღვრული ფუნქციები ან დააკმაყოფილოს განსაზღვრული სოციალური მოთხოვნილებანი. ეს ჯგუფები შესდგება იმ პირებისაგან, რომლებიც მოთავსებული არიან ისეთ დახურულ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, როგორიც არიან დამსჯელი, აღმზრდელი და მოვლა პატრონობის სახლები.

ასეთია სახელმწიფოს მოღვაწეობის ფორმა—(სასურსათო კომისარიატის სახით).

მის განსახორციელებლად სასურსათო კომისარიატს უნდა ქონდეს განსაზღვრული რესურსები. როგორ უნდა შეაგროვოს სახელმწიფომ სურსათი?

უპირველეს ყოვლისა მის ხელშია იმ რესურსების მოგროვება, რომლების გადახდა თვითეულ მოქალაქისაგან შეადგენს სახელმწიფოს წინაშე ბეგარის მოხდას. ეს არის ნატურალური სასურსათო გადასახადი.

ნატურ გადასახადი, ეკუთვნის რა იმ მრავალ გვარ გადასახადთა და ბეგარათა კატეგორიას, რომელსაც სახელმწიფო აკისრებს მოქალაქეებს, სასურსათო კომისარიატს გადაეცა მიზან შეწონილობის მიხედვით. ნატურ გადასახადი ახალი საქმეა.

ხანდისხან მოქმედება გვიხდება ვარაუდით და მუშაობის დროს ვეცნობით მრავალ მხარეებს. სასურსათო გადასახადი ამ წელში სასურსათო კომისარიატისათვის არის იმ საკმაო გამოცდილების ზომა, რომელიც გვაჩვენებს აუარებელ დეფექტებს ამ ხანად უჩინარს და წარმოუდგენელს. ამ მხრით სასურსათო კომისარიატმა შეასრულა დიდი და საინტერესო სამუშაო, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო წმინდა სასურსათო, არამედ საორგანიზაციო და ეკონომიური მხრითაც.

შემდეგ სასურსათო კომისარიატი დამზადებას აწარმოებს სურსათისა და პირველ მოთხოვნილების საგნების მწარმოებლებთან და პატრონებთან თავისუფალ შეთანხმების ნიადაგზე.

სასურსათო კომისარიატი შესყიდვას აწარმოებს, როგორც ფულის საშუალებით, აგრეთვე საქონლის გაცვლა-გამოცვლით, ქაღალდის ფულის ნიშნების სიმცირისა და სოფლისათვის საჭირო ფაბრიკატების მწვავე ნაკლებობის გამო.

მესამეს და უკანასკნელს შეადგენს რუსეთიდან პროდუქტების მოწოდება.

თავის მიზნების განსახორციელებლად სასურსათო კომისარიატს აქვს თავისი ადგილობრივი, სამაზრო ორგანოები-სამაზრო სასურსათო კომიტეტები, რომელთაც დაკისრებული აქვს სასურსათო საადმინისტრაციო მოვალეობანი და განმანაწილებელი ფუნქციები.

რესურსების მოსაგროვებლად სასურსათო კომისარიატს შექმნილი აქვს აგენტურის ცენტრალისტური სისტემა. ეს არის რწმუნებულთა ორგანიზაციები, რომელნიც პირდაპირ ანხორციელებენ დამზადებას და ასრულებენ სასურსათო კომისარიატის საკონტროლო ფუნქციებს ამ კომისარიატის კონტრ-აგენტთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და მათ კავშირების საშუალებით.

უკანასკნელთ სასურსათო კომისარიატი თან და თან იწვევს სასურსათო მოღვაწეობაში მონაწილეობის მისაღებად. ბევრს მათგანთან უკვე დადებული აქვს ხელშეკრულებანი, რათა მათ დაამზადონ სასურსათო პროდუქტები; ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირთან კი (ცეკავშირი) დადებულია გენერალური ხელშეკრულობა.

სასურსათო კომისარიატის აქტიურ ზეგავლენით, რომლის დანიშნულებას შეადგენს საკოოპერაციო მოღვაწეობის ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში, უკანასკნელ ხანებში არსდება მუშათა კოოპერატივები.

სასურსათო კომისარიატი ეხლა იწყებს სურსათის მათ ხელში გადაცემას საგეგმო განაწილებისათვის.

ძირითადი სასურსათო ამოცანებთან ერთად სასურსათო კომისარიატი უძღვება მეორე ახლობელ საქმესაც: ფურაჟის დამზადება-მიწოდებას და ნედლი საექსპორტო-სავალიუტო საქონლის დამზადებას. სასურსათო კომისარიატმა ხელში აიღო ეს უკანასკნელი საქმე იმიტომ, რომ მას უკვე აქვს მზად აპარატი, რომელიც სრულიად შესაფერია ამ მუშაობისათვის და რომელიც იწვევს შტატის მხოლოდ მცირე გადიდებას და არა ახალ ორგანოთა მთელი სისტემის შექმნას.

ერქომაიშვილი.

ბიდან იტყობინება, რომ კონფერენციის მახლობელ პლენარულ სხდომაზე განიარაღების საკითხის განხილვის დროს, მოხდება ოფიციალური განცხადება ინგლის-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ხელშეკრულების გაუქმება ორთავე მხარის თანხმობით მოხდა.

ამერიკა

პროექტი ახალ კონფერენციის მოწვევისა.

მოსკოვი. 6 დეკემბერი. (რადიო. ლონდონიდან იტყობინებიან: გარდინგთან მახლობლად მდგარ წრეებში გამოსთქვამენ აზრს ახალ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც განიხილავს საკითხს ფინანსიურ მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის და სამხედრო ვალების შესახებ.

იტალია

გაფიცვები

მოსკოვი. 5 დეკემბერი. (რადიო), რამდენიმე რკინის გზელთა დათხოვნის გამო, ნეაპოლში რომელთაც გაფიცვაში მონაწილეობა ბრალდებოდათ, იტალიის რკინისგზელებმა დაადგინეს გამოაცხადონ 3 დეკემბერს საერთო გაფიცვა.

სასურსათო გადასახადის გარშემო

სასურსათო გადასახადის შემოტანა.

ნოემბრის 28 ცნობებით სასურსათო გადასახადის შემოტანა გამოიხატა შემდეგ ციფრებში.

ტფილისის მაზრაში: ხორბალი 46 ფ. 2 გ. კარტოფილი—520 ფ., ხახვი—520 ფ. 30 გირ. ვაშლი—105 ფ. ერბო—5 ფ. 37 გ., ყველი—6 ფ. 38 გ., მატყლი—30 ფ. 10 გ.

ახალქალაქის მაზრაში: ხორბალი—114 ფ. 12 გ., ქერი—377 ფ. 25 გ. კარტოფილი—654 ფ. 7 გ. ერბო—1 ფ. 31 გ. ყველი—6 ფ. 31 გ., მატყლი—24 ფ. 12 გ. დანარჩენ მაზრებიდან ცნობები შემოსულ გადასახადის რაოდენობის შესახებ ჯერ კიდევ არარის მოსული. იციან მხოლოდ რომ ტფილისისა და ახალქალაქის მაზრის გარდა სასურსათო გადასახადის შეგროვებას შეუდგნენ ახალციხესა და სიღნაღის მაზრაში. დანარჩენებში თავდება სიებით გადასახადის გაწერა.

რამდენია მოსალოდნელი სასურსათო გადასახადი.

ოთხ მაზრაში სიები საბოლოოდ გადაშინჯულია და დამტკიცებული. ამის თანახმად სასურსათო გადასახადის შეკრებას ელოდებიან შემდეგ რაოდენობისას:

ტფილისის მაზრაში:

ხორბალი	— 21,691 ფ.
სიმინდი	— 12,100 „
ხორცი	— 6,916 „
ერბო	— 2,044 „
ყველი	— 951 „
მატყლი	— 837 „
კარტოფილი	— 24,692 „
კომბოსტო	— 9,229 „
კაკალი	— 17 „ 20 გ.
ვაშლი	— 1,238 „
ღვინო	— 17,295 კასრი.

ახალქალაქის მაზრაში:

ხორბალი	— 9,547 ფ. 32 გ.
ხორცი	— 1,971 „ 17 „
ერბო	— 771 „ 14 ნახ. გ.
ყველი	— 272 „ 9 1 მეოთ. გ.
მატყლი	— 272 ფ. 9 1 მეოთ. გ.
კარტოფ.	— 6,584 ფ. 19 გ.
კომბოსტო	— 420 „ —
კაკალი	— 10 „ 20 გ.
ვაშლი	— 873 „ —

ახალციხის მაზრაში:

ხორბალი	— 19,766 ფ. 35 გ.
სიმინდი	— 16,352 „
ხორცი	— 3,912 ფ.
ერბო	— 748 „ 2 ნახევ. გ.
ყველი	— 140 „
მატყლი	— 140 „
კარტოფილი	—43,134 „
კომბოსტო	— 909 „
ვაშლი	— 4,779 „

სიღნაღის მაზრაში:

ხორბალი	— 43,000 ფ.
სიმინდი	— 59,000 „
ხორცი	— 7,100 „
მატყლი	— 890 „
კარტოფილი	— 6,500 „
ღვინო	—116,000 კასრი

დანარჩენ მაზრებში სიები გადაშინჯულია და დამტკიცებული ცალკე რაიონებათ. ასე:

ვორონცოვის რაიონში
(ბორჩალოს მაზრა)

ხორბალი	— 6,035 ფ. 14 1 მეოთ. გ.
ხორცი	— 1,740 „ 35 გ.
ერბო	— 2,332 „ 12 3 მეოთ. გ.
ყველი	— 76 „ 18 გ.
მატყლი	— 76 „ 18 „
კარტოფილი	— 13,965 ფ. 2 გ.
კომბოსტო	— 184 „ 22 „
კაკალი	— 2 „ 18 „

გომის რაიონში
(გორის მაზრა)

ხორბალი	— 2,411 ფ.
სიმინდი	— 5,838 „
ხორცი	— 2,900 „
ერბო	— 30 „
ყველი	— 20 „
მატყლი	— 20 გ.
კარტოფილი	— 160 „
კომბოსტო	— 40 „
კაკალი	— 2 „ 20 გ.
ვაშლი	— 22 „
ღვინო	— 4,382 კასრი.

თელავის მაზრაში.

მუშაობა გადამხდელთა სიების შესადგენად შესახებ ყველა სოფლებში დასრულებულია, გარდა 6-სა, რომელიც შესდგება უბინადრობისაგან. წინდაწინ გამოანგარიშებით, შეიძლება აღება: ხორბლის—დაახლოვებით 46 ათასი ფუთის, სიმინდის—30 ათასი ფუთის, ხორცის—4000 ფუთის, კარაქის—600 ფუთის, ყველის—300 ფუთის, მატყლის—300 ფუთის და ღვინოსი დაახლოვებით 35,000 ვედროსი. მაზრა დაყოფილია 5 რაიონათ, თითო რაიონი მიხდობილი აქვს ხუთი წევრისაგან შემდგარ კომისიის თითო წევრს,—რომელიც ხელმძღვანელობს თემების რევკომებს. დამატებითი სიების შედგენას გამოშვებულ გადამხდელებისა, აგიტაციის და სხვა და სხვა გაუგებრობის გამორკვევას, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს.

ბორჩალოს მაზრაში.

სასურსათო საქართველოს კომისრის ცნობებით მთავარი მიზეზები ბორჩალოს მაზრაში სასურსათო გადასახადის ჩატარების შეფერხებისა არის წერა-კითხვის მცოდნე მუშაკების უყოლობა და გლეხების მიერ გადამალვა საგადასახადო მოსავლისა. გლეხობის ბნელი მასა, უმეტეს თავის ხაცილებით, მუსულმანებია, სადაც საბჭოთა ხელისუფლების მტრები სწევდნენ პროვოკაციას და რამდენიმე ადგილებში გვაძლევდნენ არა ნამდვილ ცნობებს დათესილ სივრცის, მქონელთა რიცხვის და საქონლის შესახებ. მიუხედავათ ამისა ოთხ რაიონში სიები უკვე დასრულებულია.

გორის მაზრაში.

გორის მაზრის რამოდენიმე რაიონში მოგვიხდა ხელახლა სიების შედგენა, ვინაიდან სწორეთ არ გვაჩვენეს გადამხდელთა რაოდენობა. მუშაობა დასრულებულია თითქმის მთელს მაზრაში.

სიღნაღის მაზრაში.

უკვე გამოანგარიშებულია სასურსათო გადასახადის შემოსვლის რაოდენობა. მაგრამ სიები სავსეა ბევრი ნაკლით და ციფრები სასურსათო გადასახადისა ძლიერ შემცირებულია.

უკვე შეუდგნენ სიების შესწორებას, რაც იქნება ახლო მომავალში დასრულებული. არის იმედი, რომ შედეგი სიების შესწორებისა, განსაკუთრებით ხორბლისა, ძლიერ აიწევს.

ქუთაისის მაზრაში.

სასურსათო გადასახადის შესახებ მუდმივათ მუშაობს ორი კაცი და მოწვეულია ათი დროებითი თანამშრომელი. და აქაც მთელ მაზრაში ოჯახის უფროსთა შედგენილი სიების გადაკეთება ხელ ახლა საჭირო შეიქნა ზოგიერთ სოფლებში, ვინაიდან სიები აღმოჩნდნენ არა სწორეთ შედგენილი. გამოანგარიშება ნავარაუდევ გადასახადისა მალე დასრულდება.

ოზურგეთის მაზრაში.

სიების გადასინჯვის დროს თითქმის ნახევარი მათ შორის უსწოროთ შედგენილი აღმოჩნდა. ხელახლა მოგვიხდა ამ მუშაობის გადაკეთება: ყველა თორმეტ რაიონში გაგზავნილია პასუხის მგებელი მუშაკნი, რომლებმაც ადგილობრივი პარტიულ ორგანიზაციების დახმარებით და ულარიბეს გლეხთა წარმომადგენლების ჩვენებით შესძლეს შეეკრიბათ უფრო სწორი ცნობები გადამხდელთა სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. გამოანგარიშება ნავარაუდევ გადასახადისა თითქმის დასრულებულია.

ზუგდიდის, ახალსენაკის და შორაპნის მაზრაში.

აქ სასურსათო გადასახადის მუშაობის წარმოებას უმეტეს ნაწილათ აფერხებს განუწყვეტელი წვიმები, რომლის გამო მიმოსვლა შეწყვეტილია. მიუხედავათ ამისა მეოჯახეთა სიების შედგენა უკვე დასრულებულია. ამ ჟამათ სწარმოებს გადასახადის ვარაუდის გამოანგარიშება.

ქრონიკა

◆ **ცენტრალურ საშტატო კომისიაში.** ცენტრალურ საშტატო კომისიამ მოახდინა ქალაქის სტატისტიკურ განყოფილების შტატის შემოკლება. 43 კაცის მაგიერ დადგენილია ნორმალური შტატი 23 კაცისაგან შემდგარი.

◆ შტატის კომისიამ მიწათ-მოქმედების კომისარიატს, წინადადება მისცა, მოახდინოს მიწათ-მოქმედების კომისარიატის ცენტრალურ დაწესებულებაში შტატების შემოკლება 805 კაციდან—527 კაცამდის. შემოკლება ხდება უმთავრესათ ქვე-განყოფილებების გაერთიანებით და მათი რიცხვის შემოკლებით.

◆ **თბილისის განტვირთვა.** თბილისის განტვირთვის საქმე, მიუხედავათ მთელი რიგი ობიექტიური პირობისა, რომელიც ხელს უშლიდენ რადიკალურად ამ ზომის გატარებას ცხოვრებაში,—მიმდინარეობს წარმატებით. უკვე გამგზავრებულია სხვადასხვა მხარეს 6 ჯგუფი რიცხვით 25000 კაცი. უმეტესი ნაწილი, რომელიც შეტანილი იყო გადასასახლებელთა სიაში, თავის ნებით სტოვებს ქალაქს. ამნაირათ გასულ პირების რიცხვი დაახლოვებით უდრის 8000—9000 გამტვირთველთა განკარგულებაშია საკმარისი რიცხვი ბინებისა და ოთახებისა, რომელნიც ეთმობათ კომუნალურ მეურნეობის განყოფილების საშუალებით პროფკავშირებს. უმეტესი ნაწილი გადასახლებულებისა არის წვრილი-ვაჭრები, რომელთაც არა აქვთ გარკვეული სავაჭრო ადგილი. არიან ფიქტიური მოსამსახურენიც. იმ პირთა სიებიდან, რომელნიც ეკუთნიან გადასახლებულთა რიცხვს, გამორიცხულია სპარსეთის ქვეშევრდომნი, რომელნიც გადასახლებულ იქნებიან სპარსეთის გენერალურ საელჩოს მიერ.

◆ **სახელმწიფო გამომცემლობის პრეზიდიუმი.** ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობასთან მოეწყო კოლეგია, რომელშიაც შედიან ამხანაგები: კანდელაკი, ბრიხნიჩოვი და კალაძე. ყველა უფლებები, რომლებიც გამომდინარეობს კერძოთ გამომცემლობის შესახებ გამოცემულ დეკრეტიდან, გადაეცა პრეზიდიუმს, რომლის დაუდასტურებლად აკრძალულია ყოველივე ნაწარმოების დაბეჭდვა. პრეზიდიუმის პირველი სხდომა დანიშნულია 6 დეკემბერს 2 საათზე. განათლების კომისარის კაბინეტში.

◆ **თბილის-ერივანი.** საფოსტო მატარებელი № 3 და 4 (თბილის-ერივანი) 8 დეკემბრიდან ივლის ყოველ დღე. მატარებელი № 4 გავა თბილისიდან დღის 12 საათსა და 40 წ. ერივანში მივა დღის 11 საათ. 59 წ. ერევნიდან მატარებელი გამოვა საღამოს 7 ს. 28 წ. თბილისში მოვა საღამოს 7 ს. 48 წ.

◆ **თბილის-კავკავი.** საფოსტო მატარებელთა № 4 და 3 წყვილ რიცხვიან დღეებში ივლის თბილის-კავკავ შორის ერთი ვაგონი ბაქოში გადაუჯდომლად.

◆ **ფქვილი და ჩაი.** 4 დეკემბერს ფოთში მოვიდა გემი „კვინტიკი", რომელმაც მოიტანა 200,000 ფუთი ფქვილი და 30,000 ფუთი ჩინეთის ჩაი. საქონელი გამოგზავნილია ცენტრო-კავშირის მისამართით.

◆ **საქართველოს მუზეუმს.** სახალხო ფინანსთა კომისარიატი აძლევს მუზეუმს ნუმიზმატიურ კოლექციას.

◆ **ახალი ხაზინები.** ფინანსთა კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გახსნას ზუგდიდში და ცაგერში ხაზინები.

◆ **რევკომების თავმჯდომარეების ყრილობის ნამუშევარი.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სცემს ქართულ ენაზე განსაკუთრებულ წიგნათ „საქართველოს სამაზრო რევკომების თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების პირველი ყრილობის ნამუშევარს". წიგნის გამოცემა განზრახულია 1921 წ. იანვრისთვის.

◆ **მუშათა ფაკულტეტი.** საქართველოს პ. კ. ს. კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ დაადგინა თავის წარმომადგენლად მუშათა ფაკულტეტის საბჭოში აიოჩიოს ედელსონი. ს. პ. კ. ს. კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებამ მუშათა ფაკულტეტის დეკანად დაამტკიცა აიოიუკოკი, პოლიტეხნიკურ-განათლების მდივნის თანამდებობაზე დატოვებით.

◆ **სოცკულტურის მუშაკთა ყრილობა.** წარმოებათა პროფკავშირის სოცკულტურის მუშაკთა პირველი ყრილობა დანიშნულია 15 იანვრისთვის. ამ ყრილობაზე იქნება განხილული საკითხი სოცკულტურის მუშაკთა და ხელოვნების მუშაკთა კავშირის შეერთების შესახებ.

რევკომების ყრილობა

მოხსენებები ადგილებიდან

თბილისის მაზრა.

მომხსენებელია სამაზრო რევკომის თავმჯდომარე ამხ. ს. მგრელიშვილი. თბილისის სამაზრო რევკომი შეუდგა მაზრის მართვას ყოფილ სამაზრო ერობის საცოდავ ნაშთებიდან, ვინაიდან სამაზრო ყველა დაწესებულებანი დაეტოვებისათ მოსამსახურეთა პერსონალს პანიკის საერთო შთაბეჭდილებით, რომელიც პროვოკაციული ხმებით იყო შექმნილი ბოლშევიკური ჯარების შემოსვლისას, ხოლო აქ დაწესებულებათა მთელი ქონება ბედ-იღბალზე იყო მიტოვებული. ასეთ მდგომარეობის სურათი რთულდებოდა იმით, რომ მაზრის ტერიტორია იყო სამხედრო გადამწყვეტ მოქმედებათა და ჯარების მასიური მოძრაობის სარბიელი. სამაზრო თვითმართველობა თავის არსებობას განაგრძობდა, მაგრამ პოლიტკომის კონტროლის ქვეშ. კვირა ნახევრის შემდეგ თვითმართველობის კოლეგია დაშლილად გამოცხადდა და შეიქნა რევოლიუციონური სამეული. ხოლო შემდეგ შეიქმნა რევკომი 5 პირისაგან. აქ ჟამად სამაზრო რევკომი შესდგება 5 განყოფილებისგან. შინაგან მართველობის განყოფილების მთელი ყურადღება იყო მიქცეული ხელისუფლების ორგანიზაციისაკენ—ადგილობრივ, რომელიც თავისთავად, სტიქიურად და რევოლიუციონურად დამყარდა. ასე მაგალითად სტიქიურად მაზრაში დასაწყისშივე დაარსდა 50 თემის რევკომი, რომელნიც არ იყვნენ სარაიონო რევკომებში ჩაოყალიბებულნი.

აქ ჟამად მაზრაში 5 სარაიონო რევკომია, 2 ქვესარაიონო და 5 სათემო გარეუბნის) რევკომი. სარაიონო რევკომები: 1. წალკის (თბილისის მაზრას შეუერთეს ბორჩალოს მაზრიდან აგვისტოდან); 2. მანგლისის; 3. კოჯორის; 4. ალბულაღის; 5. ასურეთის; 6. მარტყოფის; 7. სართიჭალის ქვესარაიონო განყოფილებით გომბორში; 8. საგარეჯოსი და 9. ყარაიაზის. თემის რევკომები: 1. ახტალის; 2. თელეთის; 3. დიღომის; 4. წყნეთის და 5 ავჭალის.

ყველა სარაიონო კომიტეტებს მოთავეთ ყავს პასუხისმგებელი ამხანაგი კომუნისტები და საერთოთ რევკომთა ყველა წევრთა ნახევარზე მეტი შესდგება კომუნისტებისაგან.

სამილიციო რაიონებში 10 უბანია მაზრაში, ცხენოსან პოლიციელთა შტატი 34-ია და ქვეითი 134. სოფლის საზოგადოებანი 60, კომისრების მეთაურობით, რომელნიც უფროსს მილიციონერის ვალდებულებას ასრულებენ. ყოველ კომისარიატთან არის უმცროს მილიციონერთა შტატი და ერთი მწერალი. ზოგიერთ საზოგადოებაში უმცროსი მილიციონერი ერთი, ორი, სამიც კია მცხოვრებთა რიცხვისა და სივრცის მიხედვით.

შინაგან მართველობის განყოფილებამ დიდი მუშაობა აწარმოვა მცხოვრებთაგან დატოვებულ საქონლის შეგროვებაზე მაზრის სხვადასხვა ნაწილში გადატრიალების პირველ დღეებში. მოაგროვეს, მაგალითად, მრავალი ცოცხალი ინვენტარი, განსაკუთრებით ცხენები, დარჩენილი უკან დახეულ მენშევიკების ჯარის ნაწილებისგან. აგრეთვე მიღებულ იქნა ცხენები სხვადასხვა ნაწილისგან, წითელ ლაშქრისგან, რასაკვირველია უვარგისად ცნობილნი რიცხვით 49, ცოტად თუ ბევრად მათში გამოსადეგი ცხენი დასტოვეს სამაზრო რევკომის (საბარგოსთან) ტრანსპორტთან, რომელიც შესდგება 3 ფურგონისგან, 3 ლინეიკის და 2 ეკიპაჟისგან, რომელიც მუშაობაშია და სამაზრო რევკომის საჭიროებას ემსახურებიან.

მდგომარეობა მაზრაში აუცილებლივ მშვიდობიანია და მასის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან სავსებით თანაგრძნობითია. არის შემთხვევები შეიარაღებულ თავდაცემათა და ძარცვისა მგზავრების, მაგრამ თითქმის ყოველ დიდ შემთხვევაში მძარცველნი შეპყრობილ იქნენ.

მაზრაში 109 სკოლაა, მათში 5 უმაღლეს პირველდაწყებითი და ორი ტიპი შრომის სკოლისა. სწავლა ყველა სკოლებში არის, გარდა 10-ისა მასწავლებელთა პერსონალის უყოლობის გამო. ამას გარდა მაზრაში 6 სკოლაა საფეიქრო სახელოსნოების და ერთი ცენტრალური სამაზრო რევკომთან, 4 საბავშვო ბაღი და 1 საბავშვო თავშესაფარი. სკოლები შეაკეთეს და აკეთებენ ადგილობრივ სახსრიდან, რადგანაც ცენტრმა სახსარი არ მოგვცა.

სკოლის გარეშე განათლება ნაყოფიერად მიიწევს წინ. მაზრაში 21 სამკითხველოა, 8 ბიბლიოთეკა და 5 მუშათა კლუბი, რომლებიც გადატრიალებამდე არ არსებობდა. 12 ალაგას იმართება სისტემატიურად წარმოდგენები და საღამოები. ამას გარდა მაზრაში არის 9 სკოლა წერ-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციოთ და ახლო დროში ფიქრობენ მათი რიცხვი 22 აიყვანონ.

მიწად-მოქმედების განყოფილებას სათავეში უდგას კოლეგია 3 პირისაგან და მასთან არის აგრეთვე იურიდიული კომისია—სამაზრო საგანგებო მიწად-მოქმედების კომისია საადგილ-მამულო საჩივრებისათვის. ჯერ ჯერობით მუშაობა ხდება პირველ სტადიაში აგრარულ რეფორმის გასატარებლად. სახელდობრ: სივრცის განსაზღვრა სწარმოებს უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხთადმი გადასაცემად. ამ მიზნისთვის მთელი მაზრა 11 რაიონად არის გაყოფილი და ყოველ რაიონში მუშაობს განსაკუთრებული კომისია ერთი მიწისმზომლის, სამაზრო რევკომის ორი წარმომადგენლის შემადგენლობით. მუშაობა ჯერ-ჯერობით 4 რაიონშია მოთავებული, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ საშუალო ნორმა სულზე მოდის 3-4 დესეტინა, განყოფილებაში 500 საჩივარი შემოვიდა, უმთავრესად მიწის მფლობელობის დარღვევის ნიადაგზე; ყველა საჩივრები თითქმის დაკმაყოფილებულია. მიწის იურიდიული კომისია ეხლა ხან მოეწყო და განიხილა სამ სხდომაზე 25 საქმე. მიწად-მოქმედების განყოფილებასთან სამი ქვეგანყოფილება არსებობს: საზეითლო, აგრონომიული და სატყეო. მაზრაში გადატრიალებამდე სამი საქონლის საექიმო საფერშლო პუნქტი იყო ამბულატორიებით; გადატრიალების შემდეგ კიდევ სამი პუნქტი მიემატა, მაზრის ზოგიერთ ნაწილში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომლის წინააღმდეგ თავის დროზე მიღებულ იქნა ზომები; 5300 შავი ჭირის საწინააღმდეგო ასაცრელი შეშხაპუნება მოაწყვეს, მეტის აცრა უნდა მოწყობილიყო, მაგრამ შრატი საკმარისი არ იყო. ვფიქრობთ კიდევ სამი ახალი პუნქტის გახსნას.

მაზრაში 5 აგრონომიული პუნქტია, საიდანაც გლეხობა უფასოდ სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო სხვა და სხვა იარაღით. ყოველ ამ ხუთ რაიონში ერთის გარდა გამოცდილი ინსტრუქტორ-აგრონომი არის. ამის გარდა არის 2 სანერგე, 1 ვენახის, მეორე სამკურნალო მცენარეებისა.

ეკონომიური განყოფილება აწარმოებდა გამსაკვლევ სამუშაოს სარწყავ არხების გასაყვანად სხვა სამუშაოს.

მაზრაში მოქმედობს 11 საექიმო და 4 საფერშლო პუნქტი, გაეროვნებულია აფთიაქი; ეპიდემიური ავადმყოფობანი აქამდე არ შემჩნეულა გარდა ერთეულ შემთხვევებისა. მალიარიასთან ბრძოლა სწარმოებს მასიურად ქინაქინის შეშხაპუნებით და დარიგების მიცემით.

მოსავალი ამ წელს მაზრაში საშუალოზე ნაკლებია, წალკის რაიონის გარდა; მაგრამ იქ ნათესი ცოტა იყო,— ვინაიდან ბერძნებით [illegible] მცხოვრებნი საბერძნეთში გადასახლდნენ.

ზოგიერთი რაიონი ძლიერ დაზარალდა სეტყვისაგან, მაგალითად სართიჭალის და მანგლისისა, სადაც მოსავალი სრულიად მოისპო. ყარაიაზის რაიონში კი გვალვამ ნათესი გააფუჭა. სიმინდის მოსავალი ყველგან დამაკმაყოფილებელია.

სასურსათო გადასახადის შეკრება დაიწყო. ვფიქრობთ შევაგროვებთ: 22,000 ფ. ხორბალს, 11,000 ფ. სიმინდს, 25,000 ფ. კარტოფილს, 10,000 ფ. კომბოსტოს, 18,000 ფ. ღვინოს, 1200 ფ. ვაშლს, 17 ფ. კაკალს, 2,000 ფ. ერბოს, 1000 ფ. ყველს, 850 ფ. მატყლს და 4,000 ფ. ხორცს.

საგანგებო სანიტარულ გადასახადით მაზრაში გაწერილია 1,160000000 მან. თანხა: შემოვიდა 867,875,000 მ. დარჩა შემოსატანი 289,125,000 მან., რომელი ფულიც აუცილებლივ სრულიად შემოვა.

სახალხო სასამართლოები მოეწყო, გარეუბნის, სართიჭალის, საგარეჯოს, ყარაიაზის, ალბულაღის, ასურეთის და წალკის რაიონებში. საგამომძიებლო რაიონები ექვსია, მათში მოქმედებს 4.

მუშათა კოოპერატივების წარმომადგ. ყრილობა

კოოპერაციის საქმეთა მართველობის გამგის ამხ. მელჩარსკის მოხსენება

ამხ. მელჩარსკი თავის მოხსენებაში თითქოს ანგარიშს ადგენს სასურსათო კომისარიატთან არსებულ კოოპერაციის საქმეთა მართველობის მოქმედებაზე და მოჰყავს პრინციპიალურ პრაქტიკულ მოსაზრებანი მუშათა კოოპერაციის აღმშენებლობის პერსპექტივების შესახებ.

მოხსენების თეზისები.

1) სასურსათო კომისარიატი მომხმარებელ კოოპერაციის შესახებ თავიდანვე ხელმძღვანელობდა იმ შეხედულობით, რომ იგი არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მიისწრაფვის გაცვლის კოლექტიურ ფორმების დამკვიდრებისაკენ, რომ იგი უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს დაეპატრონოს ბრუნვას „ეკონომიურ შეჯრის" გზით

2 გამოდიოდა რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლებიდან და ისახავდა რა მიზნად სისტემატიური მოქმედებით გაეძლიერებია მეტოქეობა კერძო ვაჭრობასთან და ამით იგი ჩამოეცილებია პოზიციიდგან და დაპატრონებოდა გაცვლას, სასურსათო კომისარიატიც იმავე ამოცანის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც დგას მომხმარებელთა კოოპერატივის წინ. მიზანთა ერთიანობამ მალე გამოიწვია მათ შორის გენერალურ ხელშეკრულების და მთელ რიგ კონკრეტიულ შეთანხმებათა დადება კოოპერატივის მიერ სახელმწიფოსათვის სურსათისა და ნედლეულის დამზადების საქმეში.

3. ამავე დროს სასურსათო კომისარიატი კარგად გრძნობდა კოოპერატიულ აპარატების განაწილების მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. როგორც ერთი, ისე მეორეც გათვალისწინებულია საორგანიზაციო გეგმაში. სასურსათო კომისარიატის ორგანოები ადგილებზე ეწყობოდა იმ ანგარიშით, რომ მის ფუნქციათა მთელი რიგი თანდათან გადასულიყო კოოპერაციაზე.

4. ამავე დროს სასურსათო კომისარიატს, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც უფრო ახლო სდგას კოოპერაციასთან მომხმარებლის ძირითადი ფორმის სახით, ბუნებრივათ უნდა ეკისრნა ინიციატივა და მთავარი როლი კოოპერაციის მუშაობის და მდგომარეობის საერთო მოწესრიგების სფეროში.

6) პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო საქართველოს რევკომის მიერ 29 აპრილის დადგენილებით კოოპერაციის დამოუკიდებლად გამოცხადება. ამავე დროს სასურსათო კომისარიატთან შეიქმნა კოოპერაციის საქმეთა სამართველო, როგორც საუწყებათაშორისო და სახელმწიფოებრივ მეთვალყურეობის და შენახვის ორგანო.

6 კოოპერატივის საქმეთა მოწესრიგებაში სამართველომ წამოაყენა პირველ რიგში მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის მიზანი, როგორც ორგანიზაცია, რომელიც შეაჯგუფებდა მუშათა კლასის ენერგიას და თვით მოქმედებას სასურსათო გაჭირვებათა წინააღმდეგ საბრძოლველად და რომელიც აჩენს მის შემოქმედებითი როლს სოფელთან გაცვლის საქმეში და ხელს უწყობს. კოოპერატივის ისეთ ნაირად დაფუძნებას, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატისთვის მისაღებ გზას, სხვა გზით ამ მიზანთან მისვლა შექმნიდა საფრთხეს პროლეტარიატის დიდ უმრავლესობის წვრილ ბურჟუაზიულ მასაში გათქვეფისას.

7- ცხოვრებამ დაადასტურა კოოპერატივის სამმართველოს დროული და სწორი მოქმედება.

8. დღეს ჩვენ ვაყენებთ მუშათა კოოპერაციას, როგორც უფრო კეთილ საიმედო კოოპერატიულ ჯგუფს. მას ეძლევა საქონლის და ფულის ფონდები საკუთარ ბრუნვისათვის. მასვე ეძლევა გასაზღვრულ ხელშეკრულების ძალით სურსათის განაწილება.

9. მუშათა კოოპერაციის დანიშნულება არის იქონიოს გამაჯანსაღებელი გავლენა საერთოდ კოოპერატივზე, რომელმაც საგრძნობლად დაკარგა თავის სული და ჩავარდა ქაოტიზმში. რჩება რა მხოლოდ საერთო კოოპერატიულ გაერთიანებათა კავშირის შიგნით და ეყრდნობა რა შეჯგუფებულ წევრთა მასსებს, მუშათა კოოპერაცია შესძლებს მოახდინოს გავლენა კოოპერატივის მუშაობის მიმართულებაზე საერთოდ.

10. სამეურნეო გამოყოფა მუშათა კოოპერატივის კოოპერატიულ აღმშენებლობის უმაღლეს საფეხურზე—რაიონულ, მით უმეტეს საერთო რესპუბლიკის მასშტაბით მიზან შეუწონელია—აგრეთვე იმიტომაც, რომ მუშათა კოოპერატივი ჯერ სუსტია. ამასთანავე ორი კოოპერატიულ სამეურნეო ცენტრის არსებობას შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის, შეზღუდულ ბაზრის და სხვათა გამო.

11. სამაგიეროდ სრულიად კანონიერია ცენტრალიზაციისადმი მისწრაფება. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და იდეურ მუშაობაში, რომელიც მიმართულია მუშათა კოოპერაციის განმტკიცებისაკენ. ამ მოთხოვნილებას სრულიად აკმაყოფილებს ცეკავშირთან მუშათა კოოპერატივის განყოფილების გახსნის პროექტი, რომელიც იმოქმედებდა ავტონომიურათ, და რომლის სათავეშიაც იქნება მუშათა კოოპერაციისაგან არჩეული პირი.

12. განყოფილების უახლოეს მიზანს შეადგენს კოოპერაციის ადგილებზე შეკავშირების დამთავრება, მის გაფანტულ ნაწილების ერთ ორგანიზმად შეერთება, კოოპერატიულ გავლენათა საშუალებით იმ კოოპერატივებზე, რომლებიც განაგრძობენ თავიაანთ განცალკევებულ არსებობის დაცვას. განყოფილების უმთავრესი მიზანია თავის ყოველ დღიურ ინსტრუქციებით და იდეურ მუშაობით გაატაროს აქტიური პროლეტარული კოოპერატივის პოლიტიკა, რომლისაკენ მუშათა კოოპერატივმა უნდა მოუწოდოს მთელ კოოპერაციას. განმარტავს რა აქტიურ პროლეტარულ კოოპერატივის პოლიტიკას, იმ აზრით რომ გამოდევნილ უნდა იქნას კოოპერატივიდგან შეკუების და მოგებისადმი ვაჭრული მისწრაფება, კოოპერაციის წინ წამოყენებულ უნდა იქნას ქალაქის და სოფელს შორის გაცვლის პროცესის დაპყრობის მიზნები, როგორც ისტორიული მომენტის მორიგი ამოცანა.

მუშათა კოოპერატივის აღმშენებლობა.

გაანვითარა რა თავის მოხსენების ტეზისები, მელჩარსკი ამბობს, რომ არსებობს უკვე 22 მუშათა კოოპერატივი. ეს თითქმის საზღვარია, ვინაიდგან არსებულ პირობებში საქართველოში 25—30-ზე მეტი კოოპერატივი არ უნდა იყოს, რადგანაც არ არის მუშათა მეტი რაიონები.

სასურსათო კომისსარიატი და მუშათა კოოპერატივი.

მომხსენებელი აფრთხილებს ყრილობის მონაწილეთ, რომ ისინი არ გაიტაცოს სასურსათო კომისარიატის დახმარების დაპირებებმა. უკანასკნელი ვერ გახდება ვერვის საწველ ფურად. მუშათა კოოპერატივმა უნდა განავითაროს დამოუკიდებლობის მაქსიმუმი, და მას შეუძლია ეს ქნას. მუშათა კოოპერაცია არ არის უცხოეთის მცენარე, რომ იზრდებოდეს სუბსიდიების ნიადაგზე. ჩვენ უცქერით მუშათა კოოპერატივს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც უფრო კეთილ საიმედო კოოპერატიულ ჯგუფს. სასურსათო კომისსარიატმაც მისცა მუშათა კოოპერატივებს საერთოდ 500 მილიონ მანეთამდე ფულად, საქონლით კი გაცილებით უფრო მეტი. მაგრამ მხოლოდ მუშათა კოოპერატივების თვითმოქმედებაზე არის დამოკიდებული მათი მომავალი.

კოოპერაციის გაჯანსაღება.

მუშათა კოოპერაციამ თავის იდეურ გავლენით და საქონლის შეფასების სწორი პოლიტიკით უნდა გააჯანსაღოს მოქალაქეთა საერთო კოოპერატივი. სახელდობრ ამ მიზნით მუშათა კოოპერატივი არის გამოყოფილი ცალკე შტოთ.

ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს მუშათა კოოპერატივს.

ამდენ ხანს ჩვენ,—კოოპერატივის სამართველო, ვხელმძღვანელობდით და ვაწყობდით მუშათა კოოპერაციას. ეხლა ჩვენი ფუნქცია დამთავრდა. ყრილობამ უნდა აირჩიოს თავის იდეური და ხელმძღვანელი ორგანო-ცენტრი.

მისალმებანი.

თავის მოხსენების ბოლოს მელჩარსკი ესალმება ყრილობას სასურსათო კომისსარიატის, კოოპერატივის სამართველოს და პროლეტარულ მისწრაფების კოოპერატივის მუშაკთა იმ ჯგუფის სახელით, რომელსაც დიდი ხანია სურდა, შეექმნა მუშათა კოოპერაცია.

მუშათა კოოპერაციის მიზნები და საორგანიზაციო საკითხი.

(მოვშენზონის მოხსენება).

ვრცელი მოხსენებით მუშათა კოოპერაციის მიზნების და ორგანიზაციულად მოწყობის შესახებ გამოვიდა თბილისის მუშათა კოოპერატივის საორგანიზაციო განყოფილების გამგე მოვშენზონი. თავის მოხსენებას მოვშენზონმა წაუმძღვარა რუსეთში მუშათა კოოპერაციის განვითარების ისტორია. მოვშენზონის მოხსენებას საფუძვლად უდევს შემდეგი ტეზისები:

ტეზისები.

1. საერთო დებულება.

1) მუშათა კოოპერატივის აღმშენებლობის საორგანიზაციო ფორმა სრულიად უნდა ეთანხმებოდეს მის მიზნებს.

2) მუშათა კოოპერაცია, მიზნათ ისახავს მიიზიდოს მუშათა კლასი.

კოოპერატიულ აღმშენებლობისაკენ, როგორც მის ყოფა—ცხოვრების გასაუმჯობესებლად, თვით მოქმედების გზით, აგრეთვე ბაზარზე სამეურნეო ჰეგემონიის ხელში ჩაგდებისათვის, რათა შეუმსუბუქოს პროლეტარულ სახელმწიფოს კანტროლი, წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის განვითარების მოსაწესრიგებლად, იგი მოწოდებულია ამჟამად მოქალაქეთა საერთო კოოპერაციის ავანგარდში, რისთვისაც შექმნა გაერთიანებული მოქნილი აპარატი.

3. ამის გამო, მუშათა კოოპერაციის აპარატი ყველა თავის გაერთიანებით და ცენტრებით უნდა შენდებოდეს არა როგორც მუდმივი ფორმა, არამედ როგორც დროებითი ფორმა, გარდამავალი, რომელიც აღარ იარსებებს დამოუკიდებლად იმ მომენტიდან, როდესაც მუშათა კლასი დაეუფლება მოქალაქეთა საერთო კოოპერაციის მეურნეობას.

4. ორგანიზაციის და დაუფლების პროცესი უნდა მიდიოდეს ორი გზით: ა) გაფართოება და გაღრმავება საკუთარ კოოპერატიულ მუშაობისა, უფრო მეტი პროლეტარულ მასსის შემოერთებით, მოქალაქეთა კოოპერატივის მეურნეობაზე გადაჭარბების მისწრაფებით, და ამით მის მეურნეობის დაპყრობით. ბ) მოქალაქეთა კოოპერატივში, როგორც შემადგენელი ელემენტად შესვლით, აგრედვე წარმომადგენლობის გზით თაყიანთ მუშათა კოოპერატივების და მის ორგანოების საშუალებით.

II მუშათა კოოპერაციის გაფართოება და გაღრმავება.

5) არსებულ სამოქალაქო კოოპერატივებთან ერთად უნდა მოხდეს აღებულ ადგილის მუშების და მოსამსახურეების გაერთიანება მუშათა-მომხმარებელ საზოგადოებაში.

6) სუსტ და ცხოვრების უნარის არ მქონე კოოპერატივების გახსნა უნდა სწარმოებდეს, როდესაც მასში იქნება მუშები და მოსამსახურეები. (მაგალითად არა ნაკლებ 500 კაცის; იქ, სადაც მუშები და მოსამსახურეები იქნებიან აღნიშნულ რიცხვზე ნაკლები, უკანასკნელნი შედიან ადგილზე არსებულ სათანადო მოქალაქეთა კოოპერატივში, ცალკე სექციის სახით, რომლებიც მიზნად ისახავენ გადააკეთონ მოქალაქეთა კოოპერატივი მუშათა კოოპერატივად. აღნიშნულ სექციას აქვს თავის ბიურო, მუდმივ კონტაქტშია ადგილობრივ საუწყებათა შორისო ორგანიზაციებთან და მახლობელ მუშათა კოოპერატივთან. ყავს აგრედვე თავის წარმომადგენელი მოქალაქეთა კოოპერატივის გამგეობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით. იქ, სადაც არ არის მოქალაქეთა კოოპერატივი და ამავე დროს არც მუშა და მოსამსახურეთა საკმაო რიცხვი, ისინი შედიან მახლობელ მუშათა კოოპერატივში. 300-ს რაოდენობა უნდა ჩაითვალოს სამაგალითოდ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ნახსენების ნორმის შემცირების მიმართულებით სამაზრო ან ცენტრალურ მუშათა კოოპერატივისაგან.

7) მძლავრი კოოპერატიულ აპპარატების შექმნის მიზნისათვის და მის საშუალებათა და ძალთა დანაწილების თავიდგან ასაცდენად, თვითეულ აღებულ ადგილში არ შეიძლება იყოს ერთზე მეტი მუშათა კოოპერატივი და საჭიროების შემთხვევაში ბევრი დუქნების სისტემით. ამისათვის მუშათა კოოპერატივების მოწყობა პროფკავშირებთან, წარმოებებთან ან დაწესებულებებთან არ უნდა ჩაითვალოს სწორად, ვინაიდგან ეს არღვევს მუშათა კოოპერაციის საერთო გეგმას.

8. მუშკოოპების მოქმედების გაფართოვებისა და გამაგრების მიზნით, სახელმწიფოს ორგანოებმა უნდა განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ მუშკოოპებს, ან და მათში იმნაირებს, რომელთაც აქვთ უმეტესი შანსები უახლოეს დროში მუშკოოპებათ გადაქცევისა, საბარათო სისტემის შენახვის პერიოდამდე და ულუფის გაცემამდე. ამგვარ მუშკოოპებისადმი მუშათა და მოსამსახურეთა სახელმწიფო მომარაგების საქმის დაუყოვნებლივი გადაცემა და ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ ყველა მოსამარაგებელ მუშა-მოსამსახურეთა აღწერა სახელმწიფო ულუფის მიღების სფეროში და, აგრეთვე ამ მუშკოოპებისადმი ნატურით პრემიის გასაცემ და ნატურ ფასის მიცემის ფონდების გადაცემა, მოგებულ ნაწარმოებთა გასაღებასა და შემდეგი განაწილებისთვის, შესამჩნევად დააჩქარებს მუშათა მასების გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივების დროშის ქვეშ შეკრების პროცესს.

9. ბაზრის უკეთ გამოყენებისათვის, მასზე უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენისათვის, ყველა სახელმწიფო ორგანოები, (მომარაგების სახალხო კომისარიატი, ს. მ. უ. ს. ტრესტები და სხვა), მათთვის აუცილებლად საჭირო სავაჭრო და დასამზადებელ ოპერაციებს ანხორციელებენ უმთავრესად, მუშკოოპერაციის აპპარატის საშუალებით. ამნაირად მუშკოოპერაცია და მისი ორგანოები წარმოადგენენ სახელმწიფოს ძირითად კონტრ-აგენტებს ვაჭრობის საქმეში. მუშკოოპერაციის ამოცანების განხორციელების გაადვილების მიზნით, ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შეკვრის დროს, მას ეძლევა მაქსიმალური უპირატესობა ყველა დანარჩენ კონტრაგენტების წინაშე.

11. მუშკოოპერაციის აპპარატი ისეთ გამოანგარიშებით უნდა იყვეს მოწყობილი, რომ ის იყვეს შემოკლებული, ელასტიური, დახელოვნებულ მუშაკთა შერჩევით, რომლებიც ჩაყენებულ უნდა იქმნენ მუშაობის ხელსაყრელ პირობებში, მათი იდეურ და მატერიალურ დაინტერესების გზით.

20. მუშაობის მეთოდი უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ სამეურნეო ანგარიშზე და საქართველოს კოოპერატივების ურთიერთ დახმარებაზე, დამზადებულ, წარმოებითი და სხვა მოქმედების სფეროში,—მისწრაფებით აგენტთა, შესყიდვის რწმუნებულთა ინსტიტუტისათვის გაუქმებისათვის, რომელნიც წარმოადგენენ მომეტებულ ნაწილად სპეკულიტიურ მიდრეკილებით გაჟღენილ პირებს.

III. კავშირთა გაერთიანება, მუშკოოპერაციის განყოფილება.

12. ყველა მუშკოოპერატივები შედიან სათანადო კავშირთა გაერთიანებაში (რაიონულ და ცენტრალურ კავშირებში, იქ მუშკოოპერაციის პოლიტიკის გამოჩენითა და ცხოვრებაში გატარებით თავის წარმომადგენელთა გამგეობაში, სარევიზიო კომისიაში და სხვა ორგანოებში გაყვანის გზით.

13. მუშკოოპერატიისადმი ყოველ მხრივ ინსტრუქციის მისაცემად და მით კოოპერატიულ პოლიტიკის ხელმძღვანელობისათვის, საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ გამგეობასთან არსდება მუშკოოპერაციის განყოფილება, რომელიც ავტონომიურად მოქმედობს და რომელსაც სათავეში უდგას ამორჩეული წარმომადგენელი მუშკოოპერაციისა.

IV. მუშკოოპერაცია და პროფკავშირები.

14. მუშკოოპერაციას, რომელიც აერთებს მუშებს, როგორც მომხმარებლებს, აქვს თავის მიზნების წრე, მუშაობის თავისი საკუთარი მეთოდები და მხოლოდ მისთვის ჩვეული ორგანიზაციის სახე, რის ძალითაც ის ჰქმნის მუშათა მოძრაობის დამოუკიდებელ შტოს.

15. მეორე მხრივ, მუშათა მოძრაობის მთლიანობა საერთოდ და, კერძოდ, არსებული მჭიდრო კავშირი წარმოებითი და მომარაგებითი მიზნებ შორის გულისხმობს მუდმივი კოკონტაქტის არსებობას მუშათა კოოპერაციასა და პროფკავშირებს შორის, როგორც აუცილებელ პირობას როგორც ერთი, ისე მეორე მიზნის განხორციელებლად.

16. ამ ორ დებულებასთან შეფარდებით, მუშათა კოოპერაციასა და პროფკავშირებ შორის ურთიერთობას საფუძვლად დაედვას კოორდინაციის პრინციპი და არა მუშათა მოძრაობის ერთი აღნიშნულ შტოს დამორჩილება მეორისადმი, იმასთან მუშათა კოოპერაციის აგებულების და მოქმედების საერთო კონკონტურებს განსაზღვრავს მისი ცენტრი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

მოხსენების შემდეგ ამხ. მოვშენზონი უპასუხებს ყრილობის მონაწილეთა მიერ მიცემულ მრავალ შეკითხვებზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 107

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა. განათლების დარგში მომუშავეთა დაბრუნებისა თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე.

რათა განათლების დარგში მომუშავეთა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება სათანადოთ გამოყენებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რეს. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს ყოველ ადგილას მობილიზაცია განათლების დარგში მომუშავეთა, რომელთაც აქვთ ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული მომზადება და სტაჟი და ვინც არა მსახურობს თავისი სპეციალობის საქმეზე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, წარმოებაში და სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მეურნეობაში და წითელ არმიაში, აგრეთვე მათიც, ვინც ასეთ სამსახურში არ იმყოფება, იმ გამოკლებით, რაც აღნიშნულია მე-4 მუხ.,—რათა მობილიზაციით გაწვეულნი დანიშნულ იქნენ თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე.

2. განათლების დარგში მომუშავენი, რომელნიც ამ ჟამად მუშაობენ თავიანთ სპეციალობის საქმეზე და აქვთ გამოცდილება და სტაჟი, მე-3 მუხ. აღნიშნული, ჩაითვალნენ უკვე მობილიზაციის წესით გამოწვეულად და დარჩნენ თავიანთ ადგილებზე განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

3. მობილიზაციას ექვემდებარებიან (მუხ. 1 და 2):

ა) ის პირნი, ვისაც გაუვლია ინსტიტუტები, კურსები და სხვა რამ ამგვარი ერთ წლიანზე არა ნაკლები, რომელნიც ამზადებენ: განათლების სხვა და სხვა ტიპის მომუშავეს: სკოლის გარეშე, სკოლისა, პოლიტიკურ-განათლებისა და პროფესიონალურ-ტეხნიკურისა. უკეთუ ხსენებულ ინსტიტუტებისა, კურსებისა და სხვა რამ ამგვარის გათავების დღიდან ამა დადგენილების გამოცემამდე 7-ღ წელზე მეტს არ გაუვლია.

ბ) ის პირი, ვისაც არა აქვს სპეციალური, თეორეტიული მომზადება (მუხ. 3 პ ა.), მაგრამ უმეცადნია უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში სამს წელზე არა ნაკლებ, როგორც თავისი სპეციალობის ძირითად საქმეზე: სკოლამდე აღზრდის დარგში, სკოლაში პოლიტიკური განათლებისათვის სკოლის გარეშე, პროფესიონალურ ტეხნიკურისა და ყველა ტიპის უმაღლეს სკოლაში, აგრეთვე უმუშავნია მეცნიერულად სამეცნიერო დაწესებულებაში.

გ ის პირი, ვინც მუშაობს ერთ წელზე არა ნაკლებ,—როგორც ინსტრუქტორი,—სახალხო განათლების განყოფილებაში, წითელი არმიის საგიტაციო და პოლიტიკურ განათლების დარგში, პროფესიონალური კავშირების საკულტუროსა და კულტურულ განათლების განყოფილებებში და საბჭოთა დაწესებულებაში.

4. წითელ არმიელთა და იმ პირთა შორის, ვისაც სამხედრო უწყებაში უჭირავს საკომანდო და ადმინისტრატიულ სამეურნეო თანამდებობა და აკმაყოფილებს ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას, წარვლინებულ უნდა იქნეს თავის სპეციალობის სამუშაოზე მხოლოდ: ა) ის წითელ არმიელი, რომელიც დაბადებულია 1894 წელს ან უფრო ადრე და ბ ის პირი, რომელსაც უჭირავს საკომანდო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობა—გუნდის კომანდირის თანამდებობაზე მცირე. წარვლინების წესის დასამუშავებლად—დაევალოს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია.

5. ყველა ის პირი, რომელიც მე-3 მუხ. თანახმად,—ექვემდებარება მობილიზაციას, და სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფება,—ვალდებულია შვიდი დღის ვადაზე,—დღიდან ამა დადგენილების ადგილობრივ გამოქვეყნებისა, ჩაეწეროს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების ადგილობრივ სამმართველოში, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ასეთი სამმართველო არ არსებობს, ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტში.

6. ის პირი, რომელიც,—მე-3 მუხ. თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და სამსახურში იმყოფება, თავისუფალია სარეგისტრაციოდ პირადად გამოცხადებისაგან, ხოლო სამაგიეროდ, დაწესებულება, წარმოება ან მეურნეობა, სადაც ის პირი მუშაობს, ვალდებულია მე-5 მუხლში აღნიშნულ ვადაზე,—წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, წარადგინოს, შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულის ფორმით, მუშა ხელის აღრიცხვისა და განაწილების ადგილობრივ სამმართველოში სათანადო ცნობა მის შესახებ,—გარდა პედაგოგებისა, რომელნიც მუშაობენ, როგორც ტეხნიკოსი-სპეციალისტი, ერთ-ერთ სამეურნეო ორგანოში და რომელთა შესახებ რეგისტრაციას აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატი.

7. ყველა, 1-სა და მე-2 მუხ. აღნიშნული, პირი, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ითვლება მობილიზაციის წესით გაწვეულად და უნდა დარჩეს თავის ადგილზე, ვიდრე მის შესახებ არ იქნება მიღებული განსაკუთრებული განკარგულება ამა დადგენილების მე-3 მუხ. აღნიშნული დაწესებულებისაგან.

8. მობილიზაციის წესით გაწვეულ განათლების დარგში მომუშავეთა დანიშვნას მათ სპეციალობის სამუშაოზე აწარმოებს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველო, სახალხო განათლების განყოფილებასა და განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან შეთანხმებით, ხოლო იმ პირთა დანიშვნას, ვინც მუშაობს როგორც ტეხნიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ცენტრალური სამმართველო.

9. ვინიცობაა, მობილიზაციის წესით გაწვეულმა პირმა, რომელიც ჯერ არ ყოფილა დანიშნული სამუშაოზე (მუხ.8), ადგილ-საცხოვრებელი გამოიცვალა,—იგი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს იმ დაწესებულებას, რომელშიაც არის ჩაწერილი მუხ. 6)—დაწესებულება, წარმოება და მეურნეობა, საიდანაც მიდიან ან სხვაგან, გადადიან განათლების დარგში მომუშავენი, მობილიზაციის წესით გაწვეულნი, ხოლო სამუშაოზე ჯერ არ დანიშნულნი, ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაზე წარუდგინონ ყველა ცნობები მათი სამსახურიდან გასვლისა ან ერთის ადგილიდან მეორეზე გადასვლის შესახებ მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების მახლობელ სამმართველოს.

10. შუამდგომლობა მობილიზაციის წესით გაწვეულ მომუშავეთა თავიანთ თანამდებობაზე დატოვების შესახებ იგზავნება შრომის ადგილობრივ განყოფილებასთან არსებულ კომისიაში, რომელიც განაგებს შრომა ვალდებულთათვის ვადის გადადების ან წარვლინების დანიშვნის საქმეს. ეს კომისია გადასწყვეტს საკითხს განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან და დაინტერესებული დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად. სახალხო განათლების განყოფილებას და დაინტერესებულ დაწესებულებას შეუძლიანთ გაასაჩივრონ ამ კომისიების დადგენილებანი სათანადო უმაღლეს კომისიაში, სახელდობრ: სამაზრო კომისიების დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ კომისიაში,—რომელიც შესდგება განათლების სახალხო კომისარიატის, სოციალისტური-კულტურის მუშაკთა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან.

განსაჩივრებისათვის დაწესებულია ერთი თვის ვადა იმ დღიდან, რა დღესაც მიიღებს ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნულ განკარგულებას ის დაწესებულება, რომელშიაც მიმდინარეობდა პირვანდელი სამსახური მობილიზაციის წესით გაწვეული პირისა.

უკეთუ აღნიშნული ვადა გაცდენილი იქნება,—განსაჩივრება არ უნდა იქნეს განხილული, განათლების დარგში მომუშავე, რომლის გამო აღძრულია შუამდგომლობა მის თანამდებობაზე დატოვების შესახებ, დარჩება თავის თანადებობაზე, ვიდრე საბოლოოდ გადაწყდებოდეს შუამდგომლობა და საჩივრები.

შენიშვნა: იმ პირთა შესახებ, ვინც მუშაობს როგორც ტეხნიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, შუამდგომლობა უნდა აღძრულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიის წინაშე, რომელიც განაგებს შრომა ვალდებულთათვის ვადის გადადებისა და წარვლინების საქმეს.

11. ის პირი, რომელიც, ამა დადგენილების თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და დანაშაულს ჩაიდენს მით, რომ არ დაემორჩილება მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველოს (მუხ. 8), ჩაითვლება შრომის დეზერტირად და დაისჯება შრომის დეზერტირობისათვის.

12. პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისა, ვინც დანაშაულობას ჩაიდენს მით, რომ დაჰფარავს და არ წარადგენს ცნობას სამსახურში მყოფ (მუხ. 6) მობილიზაციის ქვემდებარე პირთა შესახებ (მუხ. 3), მიცემულ იქნებიან სამართალში როგორც შრომის დეზერტირების დამფარველნი.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

განათლები სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ა. სალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 28-ს.

ტფილისი—სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის« შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საბჭოთა არჩევნებისთვის

დღეს 8 დეკემბერს დილით სრულ 10 საათზე სახელმწიფო დრამის დარბაზში (შოთა რუსთაველის სახელობის) შესდგება საბჭოთა დაწესებულებების 1-ლი ჯგუფის თანამშრომელთა საერთო კრება, თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა პირველ საბჭოს დელეგატების ასარჩევად. პირველ ჯგუფში შედიან შემდეგი დაწესებულებანი:

1. სასურსათო კომისარიატი, 2. ცენტრო კავშირი, 3. კოოპერატივები: „დახმარება“, „მეურნე“, „ყაზბეგი“, „ახალი კოოპერატივი“, „მომხმარებელი“, „დემოკრატი“, „გერმანელების კოოპერატივი“, „სურსათი“, „ქართლი“, „წარმოკავშირი“, „თბილისის სახელმწიფო მოსამსახურეთა კოოპერატივი“, „გაერთიანება“, „პიკო“, „რაიონული კავშირი კოოპერატივების“, »სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურენი“ 1 და 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 რაიონებისა.

საბ. მოსამს. კავშირის საარჩევნო კომისია.

— დღეს, 8 დეკემბერს დილით სრულ 12 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგება საბჭოთა დაწესებულებების მე-2-ე ჯგუფის თანამშრომელთა საერთო კრება, თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა პირველ საბჭოს დელეგატების ასარჩევად. მე-2-ე ჯგუფში შედიან შემდეგი დაწესებულებანი:

1. საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, 2. კომ. ახალგაზრდათა კავშირი, თბილისის კომიტეტი და ცენტ. კომიტეტი კომპარტიის, 3. რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობა, 4. აზერბეიჯანის წარმომადგენლობა, 5. გაერთიანებული საგარ. ვაჭრობის კომისარიატი, 6. სახალხო ბანკი, 7. კომპარტიის მე-6-ე რაიონი. 8. რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობა, 9. შრომის სახ. კომისარიატი, 10. გაერთიანებული ბანკები, 11. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი, 12. ქალაქის სოც. უზ. განყ. და სოციალურ უზრუნველმ. სახალხო კომისარიატი, 13. კავბიურო რ. კ. პ. და ს. რ. ც. პ. კ. ს., 14. მე-4-ე რაიონი კომპარტიისა, 15. სომხეთის წარმომადგენლობა საქართველოში, 16. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, 17, მე-3-ე რაიონი კომპარტიის, 18. საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

საბჭ. მოსამს. კავშირის საარჩევნო კომისია.

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასების (საავათმყოფო კასების) გამგეობებს

ქალაქ თფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6) 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს.

შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.

შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.

2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

გამგეობა.

დეკემბრის 15 საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი

იწვევს ქალ. ტფილისში შრომის განყოფილებების გამგეთა ყრილობას.

ყრილობის დღიური წეს-რიგი:

1. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მოქმედების შესახებ მოხსენება.
2. შრომის სახ. კომისარიატის მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. შრომის ბევრის შესახებ.
6. მუშათა ძალის აღრიცხვის შესახებ.
7. მიმდინარე საქმეები.

პარტიული

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცეკასთან გაიხსნა დიდი ბიბლიოთეკა—სამკითხველო. ბიბლიოთეკა ღიაა 12 საათ. 3 საათამდე და საღამ. 5 საათ. 7 საათამდე ყოველ დღე გარდა კვირისა და საქართველოს საბჭოთა ხელის უფლებისგან დაწესებულ უქმეებისა.

ბიბლიოთეკა—სამკითხველოთი სარგებლობის უფლება აქვს კომპარტიის სუყველა წევრებს და კანდიდატებს საქართველოს კომპარტიის ცეკას მიერ დამტკიცებულ წესების სასტიკი დაცვით.

ცეკას აგიტპროპტორი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ტელეფონები.

1) თბილისის კომიტეტის მდივანი—15—74.

2) საქმეთა მმართველი—14—70.

3) თბილისის კომიტეტის აგიტგანყოფილება—10—56.

4 თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო და ქალთა განყოფილებები—14—39.

5 მორიგე ტელეფონი—14—70.

საბჭოთა.

9 დეკემბერს საღამოს 5 საათზე უზენაეს რევტრიბუნალის კანცელარიაში გაიმართება მემანქანეების კონკურსი, რომელთაც სურთ სამსახური ზემოხსენებულ დაწესებულებაში.

თხოვნების მიღება სწარმოებს დილის 9—3 საათამდე.

ტირაჟი 10,09 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ., № 5.